“ ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ” - *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2020 წ. ოქტომბერი * №63 * ფასი 2 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

ქსოვრისის ჯვარი პატიოსანი (VIII ს.)

ქართული მიწების გადაცემა აზერბაიჯანისთვის 1921 – 1924 წლებში, გარეჯი

გვ. 4.5

ზვიად გამსახურდიას ანდერძი და წილის გარეშე დატოვებული მანანა არჩვაძე

გვ. 14,15

ივანიშვილი, ბრეჟნევივით, სიკვდილამდე ხელისუფლებაში რჩება

ლეილა ცომაია

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ფშუტურა „ოცნების“ ხელისუფლებამ კი დანიშნა 31 ოქტომბერს, მაგრამ ამ არჩევნებზეც, ბიძინა, ამომრჩევლებს ისეთივე ფარსსა და თვალებში ნაცარს უმზადებს, როგორც წინა არჩევნების დროს. ივანიშვილის ახალგაზრდა ფრთა ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე და მამუკა მდინარაძე დაბეჯითებით ახმოვანებენ ივანიშვილის თავდაჯერებულ ქადილს, რომ „ოცნების“ გუნდი მესამედაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს არჩევნებში. მერე რაა, რომ ივანიშვილმა ყველა დაპირება გაანიორწყლა და სრულად გაუცრუა ხალხს იმედები. მხარგვერდით არ ჰყავს „ნაციონალური პარტია“ , რომ იოლად შეაწმინდოს ხელი და სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური კოლაფსი სულმთლად მათ გადააბრალოს? გადაბრალებისა და თავისმართლების სინქრონში მოქმედი ამ ორი პოლიტიკური ძალის მხრიდან კი კვლავ მრავალწლიანი გაწეწვა ელის საქართველოს. ფული, დიდძალი ფული, რომელიც იგებს არჩევნებს, კვლავ ამ ორი პოლიტიკური ძალისა და მათი სეგმენტ-სატელიტების ხელშია.

იმის ნაცვლად, რომ ივანიშვილს რაიმე რეალური დაპირებები მიეცა ხალხისთვის ამ არჩევნების წინ მაინც, საარჩევნო სიის პრეზენტაციაზე, მან მთელი თავისი გამოსვლა კვლავ „ნაციონალების“ განქიქებას მოანდომა. მათი ე.წ. გადახალისებული სია კი ძველის გადამღერება აღმოჩნდა; „ნაციონალები“ და „ოცნება“ ერთმანეთს აშკარად გაეჯიბრნენ სპორტსმენების, პუტჩისტების, ბიზნესმენ-საქმოსნებისა თუ მსახიობების სადეპუტატო სიაში ჩასმით. საარჩევნო სიის პირველ ნომრად თუ „ოცნებამ“ ყოფილი

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

შსს მინისტრი და მოქმედი პრემიერი გიორგი გახარია წარმოადგინა, „ნაციონალებმა“, ყველასათვის მოულოდნელად 82 წლის მომღერალ-პუტჩისტი ბუბა კიკაბიძე დაასახელეს. მანამდე კი პირველ ნომრად, სამხედრო გენერალი, პუტჩისტი დევი ჭანკოტაძე ჰყავდათ დასახელებული. ეს ფაქტები ცხადად მეტყველებს, რომ „ნაციონალების“ ლიდერი საკაშვილი ვერა და ვერ დაბრძენდა და კვლავ ორპირი ქარი უქრი თავში. რა საარჩევნო ხმები უნდა მოუპოვოს საიქიოს გზაზე შემდგარმა ბუბა კიკაბიძემ „ნაციონალებს„? ან, რა უნდა გაუკეთოს პარლამენტში ხალხს დიალეზით მოსულდგმულე 82 წლის მომღერალმა? იქნებ, სიბრალულმა სძლია სააკაშვილს და თავისი სისხლისმიერი მოყვასის ავეტისიან-კიკაბიძის გაბედნიერება განიზრახა დამდგარ დაისის ჟამს? ქვემოთ დადებულ ფოტოდან, სწორედ ეს ხვაშიადი

იკითხება სააკაშვილის თვითკმაყოფილ ღიმილში.

პარლამენტი ხომ, პოსტ-ზვიადისტური პერიოდიდან, სცენის კლოუნების და სპორტსმენების არენად აქვთ გადაქცეული ყველა მთავრობის ლიდერს? სააკაშვილის არაადექვატურობაც ზუსტად ჯდება ამგვარ ტრაგი-კომიკურ პოლიტიკურ კონტექტში და ამ დრომდე მიტომაც ვიმყოფებით სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მდორე პროცესში!

ან დევი ჭანკოტაძე რა ისეთი დივიდენდის მომტანი ავტორიტეტია?

გენერალი დევი ჭანკოტაძე გახლდათ იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოში გახორციელებული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, ჯაბა იოსელიანის მოკავშირე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დამხობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ვნახოთ ციტატა ჯაბა იოსელიანის წიგნიდან "სამი განზომილება", რომელშიც იგი აღწერს მთავრობის სასახლეზე იერიშის დაწყების სამზადისს: "...ბანკის შენობაში ან კინოთეატრ "რუსთაველში" მოაწყვეთ საველე შტაბი, თუ დაკავებულია გამოყარეთ. ლანჩავა წაიყვანეთ ბეემპეთი. გია ყარყარაშვილთან ერთად პოდპოლკოვნიკი პაატა დათუაშვილია, ალტირელისტი (შემდგომში გენერალი, დაიღუპა აგვისტოს ომში, 2018 წელს თბილისის საკრებულომ ვაკეში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდა - ლ. ც.). აქვეა დევი ჭანკოტაძეც, ესეც საკადრო ოფიცერი. დღეს ჯობია მთელი დღე ვბომბოთ, - ამბობს ყარყარაშვილი, - და ხვალისთვის მოვიფიქროთ რამე. იწყება სჯა-ბაასი, საიდან დავიწყოთ დაბომბვა. დევი ჭანკოტაძე გვთავაზობს პირდაპირ იმელის წინ, რუსთაველის ქუჩაზე ნაღმსატყორცნი დავამონტაჟოთ. პაატა დათუაშვილი კი კომკავშირის ხეივანს აძლევს უპირატესობას. გადაწყდა: ერთი იქედან, მეორე აქედან. დათუაშვილი მიდის, რათა მოამზადოს იქ ყველაფერი. დევის კი უკვე გამოაქვს ნაღმსატყორცნი რუსთაველზე..." (გვ. 47, პირველი გამოცემა). ასე სტყორცნიდა ცეცხლოვან ნაღმებს, ჭანკოტაძე, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და პირველ პრეზიდენტს.

ივანიშვილმა და გახარიამ, თავდაცვის მინისტრ ღარიბაშვილის მეშვეობით, წინასაარჩევნოდ, 2007 წლის დოკუმენტი წამოსწია ქართველთა იერუსალიმის - დავითგარეჯის აქტუალურ საკითხზე. მაშინ, როცა პერმანენტული მრავალწლიანი აქციები იმართებოდა დავითგარეჯის დასაცავად, ხოლო მთავრობა მხოლოდ მოჩვენებითი კომისიების შექმნით და აზერბაიჯანის პრეზიდენტთან გაურკვეველი მოლაპარაკებებით გვამშვიდებდა. მიმდინარე წლის 9 სექტემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს „ნაციონალური“ ხელისუფლების დროიდან დღემდე მოქმედი საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის ყოფილი წევრები ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი. დღევანდელი თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, იმდროინდელი კომისიის მიერ საქართველო აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ შეთანხმდა. სამართალდამცველებმა ნატალია ილიჩოვას სახლიდან დავით გარეჯის, აქამდე გაუჩინარებული, 1938 წლის რუკა ამოიღეს, რომელზეც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს ტერიტორიაზეა მოქცეული. უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის არამართლზომიერად გადაცემის ფაქტზე პროკურატურაში აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ოცნების ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ვოტუმის არარსებობის გამო, ჩნდება ეჭვი, რომ არჩევნების შემდგომ ეს ე.წ. სკანდალური საქმეც უიმედოდ შემოიდება თაროზე. დავითგარეჯის მიტაცებული მონასტრების საკითხი კი ერთი ნაბიჯითაც არ წაიწევს წინ და მხოლოდ წინასაარჩევნო სპეკულაციის თემად დარჩება. ან, არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეზე, ნაციონალების პერიოდიდან მოქმედი ხსენებული პირები დააკავონ და დავით გარეჯის სადაო ეკლესიების საქმე ამით დაასრულონ, დავსაჯეთო. ხოლო, აზერბაიჯანის ხელისუფლებას კი არავითარი პრეტენზიები არ წაუყენონ.

არჩევნების ლეგიტიმური და კონსტიტუციური წესით ჩატარებას საფრთხეს უქმნის მიმდინარე წლის თებერვლიდან აფეთქებული „ახალი კოვიდ 19-ის“ ვირუსი, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება. დაავადებულთა რიცხვი მსოფლიო მასშტაბით ორმოც მილიონამდე აღწევს. საქართველოშიც დღითიდღე მატულობს დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა. 10 000-მდე დაავადებულის მიუხედავად (გარდაიცვალა 57), ქართველი ეპიდემიოლოგები, აღარ აპირებენ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობისა და კომენდანტის საათის შემოღებას. სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. მოსახლეობაში გაჩნდა ეჭვი, ხელისუფლების მხრიდან დაავადებულთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდის შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან მეტი დაფინანსების მიღების მიზნით. აგრეთვე, შეიძლება ეს ხრიკი, საარჩევნო უბნებზე მიმსვლელი რიგითი ამომრჩევლების დაბრკოლებისაკენ იყოს მიმართული, რათა იოლად შეძლონ ხმების გაყალბება.

ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები, რომლებიც საკუთარი თვალით აკვირდებიან წინასაარჩევნო პროცესებს. არჩევნების დღისთვის კი მნიშვნელოვნად გაიზრდება მათი რაოდენობა, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნის არჩევნების გაყალბებისკენ მიდრეკილ ხელისუფლებას.

მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, არაღიარებული მთიანი ყარაბახის საკითხზე განახლებული კონფლიქტიც უკვე მძვინვარების ფაზაშია, რაც სახიფათოდ ძაბავს ვითარებას რეგიონში და ურტყამს არჩევნებსაც; ომის ვითარებაში გააქტიურდნენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები და საქართველოს მთავრობაზე განაწყენებულნი რეგიონის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ოცნების მთავრობის შეთავაზება სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიმართ შუამავლის როლის შესახებ არ აღმოჩნდა რეზონანსული. ილჰამ ალიევსა და ნიკოლ ფაშინიანს საქართველოს პრეზიდენტი ზურაბიშვილი მოლაპარაკებაზე თბილისში იწვევს, რასაც, სავარაუდოდ, არავითარი გამოხმაურება არ მოჰყვება.

არათუ მთავრობას, არამედ სრულიად ქართველ ერს გვმართებს სრული კონსოლიდაცია, რომ აზერბაიჯან-სომხეთს შორის მიმდინარე ომი არ გადმოსცდეს საქართველოს საზღვრებს. ჩვენ, ყველამ ერთად დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სამცხე ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობას, სადაც უკვე აფუთფუთდნენ პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მოსურნე ძალები. მთელი გულისყური უნდა მივმართოთ, რათა ჩვენი ქვეყნის შიგნით ეთნიურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არ მოხდეს კონფლიქტის ხელოვნურად პროვოცირება და ესკალაცია.

ჩვენი მტკიცე პოზიცია და სტრატეგია, მეზობელ სახელმწიფოებს შორის ამ ომში, ცალსახად უნდა იყოს მხოლოდ დიპლომატია და ნეიტრალიტეტი.

მოახლოებული არჩევნები, თუ გაყალბების გარეშე ჩატარდა, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე ნაკლები შანსი აქვს მესამედ მოიპოვოს საპარლამენტო უმრავლესობა. „ქართული ოცნების“ თითქმის განდევნა პოლიტიკური არენიდან კი ამ არჩევნებში, მხოლოდ „ნაციონალებს“ შეეძლო, რომ მათ ადექვატურად შეეფასებინათ პოლიტიკური ვითარება და ხალხის ინტერესებზე მორგებული საარჩევნო კამპანია ეწარმოებინათ. საარჩევნო სიები კი უფრო წონიანი დეპუტატობის კანდიდატებით დაეკომპლექტებინათ, მაგრამ ისინი ამჯერადაც დიამეტრალურად აცდნენ რეალობას.

ახლა, თითოეული ამომრჩევლის პასუხისმგებლობაა ხმების გონივრული გადანაწილება პარტიებს შორის, რათა შესაძლებელი გახდეს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება.

მ ე რ ა ბ ი

1989 წლის 12 ოქტომბერი. კინოთეატრ „საქართველოსთან" მიმდინარეობდა წვევამდელთა საპროტესტო აქცია. ისინი უარს ამბობდნენ საოკუპაციო არმიაში სამსახურზე. ხალხმრავლობა იყო. უეცრად ყველას ყურადღება მიიქცია შინდისფერპერანგიანმა მაღალმა მამაკაცმა. „მერაბ კოსტავა" – დაიყვირა ვალერი კალანდარაშვილმა. იმ წუთში იქ დამსწრეთა წინაშე გაიელვა ლეგენდარულმა გმირმა და ვაი რომ მხოლოდ გაიელვა...

მეორე დღეს 13 ოქტომბერს სკოლაში სიამაყით სავსე მივედი. წინა ღამის შთაბეჭდილება მინდოდა გამეზიარებინა მეგობრებისათვის, მაგრამ მომისწრო თავზარდამცემმა ამბავმა. ბორითი...

მე, გოგი რევიშვილი, ჩემი შვილი გიგა და ორი ახალგაზრდა ტაქსით შემთხვევის ადგილისაკენ წავედით. მანქანაში სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდით. ბორითში მანქანა გავაჩერეთ, ტაქსის მძღოლს მივუბრუნდი, მადლობა გადავუხადე და მგზავრობის ღირებულება ვკითხე. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. საყვედურით შემომხედა და მითხრა: „განა მარტო თქვენ მოგიკვდათო"? გვარი და სახელი არ მიკითხავს. იგი ჩემთვის ზოგადად ქართველი იყო.

ახლა 30 წლის შემდეგ იმ ალალი ხალხის ცრემლს ვეხმაურები, ყოველგვარი ანგარების გარეშე რომ დაიტირეს მერაბი და არა პოლიტიკური ზრახვების გამოსაყენებლად. „წილხვედრ სიკვდილს თუ უცქრდეავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, მერე ეს მიწა და საქართველო". ეს მერაბის სიტყვებია. მან სიცოცხლეშივე სძლია სიკვდილის შიშს.

და ახლა, 80 წლის მერაბ კოსტავას დაბადების დღეს ვულოცავ საქართველოს, იმათ, ვინც თავიდანვე იწამა და მომავალ თაობას გადასცა მისი სიყვარული. როცა მერაბის მოწამეობრივ გზაზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგას, როგორ ეძებდა ცოტნე გამსახურდია მამის სხეულის ნაშთებს გროზნოს მიწაში. ეს მერაბ კოსტავას, 15 წლის მერაბ კოსტავას, წინასწარმეტყველება იყო „ზვიადის მისამართით": შენი სამშობლო არის სულეთი, სხვა რა სასახლე ძმაო ნუ გინდა... წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით არ მიიკარო მწიკვული და ზადი, შენი ტანია თვით ეკლესია..."

ზეციურ საქართველოდან დაგვცქერის ახლა მერაბი. ხედავს სამშობლოს ტკივილს, გათითოკაცებას, სიძულვილის ზეიმს, ეს მართლა სიყვარულის ქადაგი კაცი და მჯერა, შეძლებს ერის ერთიანი სხეულის განედლებას შეძახილით: „გეორგიანო!" და ისე როგორც ერთხელ მისი ამ ქვეყნიდან გაცილების ჟამი იყო გაერთიანების დასაწყისი, რასაც მოჰყვა აღმავლობა და დამოუკიდებლობის აღდგენა. ნათელი მის ხსოვნას.

ლია კაცაძე
საქართველოს
რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს დეპუტატი

იყო თუ არა ზვიადი დემოკრატი...

1991 წელია. მაისის თვე. იმხანად გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის მოადგილე გახლდით.

რედაქტორმა, ნოდარ გრიგალაშვილმა, დამავალა, სერგო, შენ მარიფათიანი კაცი ხარ, მიდექი, მოდექი და საგაზეთო ქაღალდის ამბავი მოაგვარე, თორემ ერთ თვესაც ვერ გავქაჩავთ, გავჩერდებითო..

ჩავვარდი საგონებელში.მაშინ ქაღალდის შოვნა ჭირდა, ფულიც რომ გქონოდა. ვიფიქრე ერთი დღე, ორი დღე და ყველაზე, შეიძლება ითქვას, თავხედური გადაწყვეტილება მივიღე-მივადგები მთავრობას, ანუ მინისტრთა საბჭოს და ცდა ბედის მონახევრეა, თანაც, მათხოვარი ვის მოუკლავს-მეთქი.

მეოთხე დღეს ავდექი და დავრეკე მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, აწგარდაცვლილ ომარ ვარძელაშილთან.ბატონო ომარ, ესა და ესა ვარ და თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს, იქნებ დამითმოთ თქვენი დროის სულ რაღაც ოცი წუთი-მეთქი, ვეუბნები.

ერთ საათში შეგიძლიათ მობრძანდეთო? მეკითხება ცხონებული...

რა თქმა უნდა, ერთ საათში მანდ ვარ-მეთქი, ვუპასუხე მადლობის მოხდით..

ნოდარმა არაფერი იცის - თავს ვიკავებ, რომ არ გამომივიდეს, ხომ შევრცხვები-მეთქი, ვიფიქრე.

დავეთხოვე ნახევარი საათით, რაღაც საქმე მაქვს პირადული და მალევე მოვალ-მეთქი, ვეუბნები ცხონებულ ნოდარს.

ბატონი ომარი ფეხზე წამომიდგა, ფრიად თავაზიანად მომესალმა, გვერდზე მომიჯდა და მეკითხება, აბა, რა გაგჭირვებიათ, რაში შემიძლია დაგეხმაროთო.

მოვუყევი ჩვენი გაჭირვების შესახებ.რამდენიმე წამი ხმა არ გაუღია. მერე გამოიძახა რომელიღაც სამსახურის ხელმძღვანელი და კითხა, რა მდგომარეობა გვაქვს ხე-ტყის ბაზაზე ქაღალდის მხრივო. იმან უპასუხა, ბატონო ომარ, ქაღალდი ამდენი და ამდენი გვაქვსო{აღარ მახსოვს, რამდენი უთხრა}.

ეს ბატონი გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის მოადგილეა და ქაღალდის გაჭირვება ჰქონიათ, გავუმართოთ ხელი და 15 რულონი ქაღალდი გამოუწერეთო{რამდენი ტონა იყო, ეგეც არ მახსოვს}.

ღამის ავცქმუტდი სიხარულისგან, მაგრამ შევიკავე თავი. დიდი მადლობა მოვახსენე ბატონ ომარს და იმ სამსახურის ხელმძღვანელს ჩავყევი კაბინეტში სათანადო დოკუმენტაციის გასაფორმებლად.

ფრთებშესხმული გამოვედი მინისტრთა საბჭოს შენობიდან. რედაქციაში აცეტებულ ხასიათზე რომ შევედი, რა იყო, რა იშოვეო, მეკითხებიან.

ქაღალდიიი, ქაღალდი ვიშოვეეეეე! - ვიყვირე მთელ ხმაზე.

არც ნოდარი, არც ბიჭები თვალებს არ უჯერებდნენ:დოკუმენტზე იმდენი რაოდენობის ქაღალდი იყო მითითებული, მთელი წელი შეფერხება არ გვექნებოდა გაზეთის გამოცემის მხრივ.

ნოდარი ხომ გადამეხვია და ბიჭებმაც ლამის ხელში ამიტაცეს.მეორე დღეს ავიყვანე დიდი სატვირთო მანქანა, წავედი ლილოში და ეს ჩვენი საყვარი ქაღალდი რედაქციის ოფისს მივაყენე.

მაშინ რედაქცია იმ შენობის პირველ სართულზე იყო განთავსებული, ახლა რომ თურქეთის საელჩო მდებარეობს.

მაშინ ის ჩვენი მეგობრის, ომარ ჯანელიძის ორგანიზაციას ეკუთვნოდა და მანაც მთელი სართული რამდენიმე უზარმაზარი ოთახით, დიდსულოვნად დაგვითმო.

დავესიეთ ყველანი - ნოდარი, კობა ლიკლიკაძე, თენგო გოგოტიშვილი, მიხო მოსულიშვილი, ვახო კომახიძე, ფელიქს კოჟიაშვილი, თქვენი მონა-მორჩილი, ბატონი ნოდარ ნათაძეც, რომელმაც ტოლი არ დაგვიდო ბიჭებს არაფერში და დავაბინავეთ ეს ჩვენი მთავრობისგან დიდსულოვნად ნაჩუქარი ქაღალდი.

ეს იყო ცხონებული ზვიადის ზეობის ჟამი და ეს გაზეთი, რომელიც მის დაქვემდებარებაში მყოფმა მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყო მთელი წლის სამყოფი ქაღალდით, მისი ხელისუფლების პირველი ოპონენტი და მთელი ოპოზიციური სპექტრის საყრდენი გახლდათ...

აი, ნამდვილი დემოკრატიის მაგალითი!
იზამდა ამას ედიკა, მიშა ან იზამს ბიძინა?
მეტი არაა ჩემი მტერი!

სერგო ჯანაშია

ისტორია - დავითგარეჯი

ქართული მიწების გაღაცემა აზეჯაბაიჯანისთვის 1921 — 1924 წლებში

უჩა მურღულიას ბლოგი
2017
მომზადებულია ლადო მირიანიშვილის
შრომების მიხედვით

საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში რამდენიმე სადავო უბანია. ორი ქვეყნის საერთო საზღვრის 480 კილომეტრიანი მონაკვეთიდან მხოლოდ 310 კილომეტრი არის მხარეებს შორის შეთანხმებული. ერთ-ერთ შეუთანხმებელ მონაკვეთზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის სამი უმნიშვნელოვანი ძეგლი: ჩიჩხიტურის, უდაბნოსა და ბერთუბნის სამონასტრო კომპლექსები მდებარეობს. ამათგან დღეის მდგომარეობით ბერთუბანსა (იგი აზერბაიჯანის სიღრმეში საზღვრიდან 2 კმ-ზე მდებარეობს) და ჩიჩხიტურის კოშკს აზერბაიჯანი აკონტროლებს, დანარჩენს კი საქართველო. სხვათაშორის ჩიჩხიტურის კოშკი 2007 წ. დაიკავეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა (ამაზე მაშინ განგაში ტელეგადაცემა „დროებამ“ ატეხა, მაგრამ მოსახლეობამ ხმა არ ამოიღო და...). სამივე მათგანი დავითგარეჯის ერთიანი სამონასტრო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. ის ტერიტორია, რომელზეც ზემორე მონასტრები მდებარეობენ, ისტორიულად ყოველთვის საქართველოს კუთვნილება იყო. აზერბაიჯანის მფლობელობაში ის de facto მხოლოდ 1921 წლის 8 ნოემბერს, ხოლო de jure – 1924 წლის 20 ნოემბერს გადავიდა.

საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მოლაპარაკებებზე ქართული მხარე ამ სასაზღვრო ტერიტორიის სხვა ტერიტორიაზე გაცვლის წინადადებით შევიდა. არსებითია, რომ გარეჯის მონაკვეთზე საზღვრის კორექცია რაიმე დემოგრაფიულ, ან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ შექმნის, რადგან განსახილველი უბნის ფარგლებში თუ მის სიახლოვეში არცერთი დასახლებული პუნქტი, ან სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტი არ მდებარეობს. განსახილველი ტერიტორია ნახევარუდაბნოა, რომელიც მხოლოდ საძოვრად გამოიყენება. აზერბაიჯანის მხარე ტერიტორიული გაცვლის წინააღმდეგია და ერთ-ერთ არგუმენტად ის მოჰყავს, თითქოს, დავითგარეჯის მონასტრები ქართული კი არა, ალბანური ძეგლები ყოფილიყოს. დავითგარეჯის მონასტრების ალბანური კულტურის ძეგლად გამოცხადება რაიმე ისტორიული საბუთის მოტანის გარეშე ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან აზერბაიჯანული ჰიპოთეზის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს.

დავით-გარეჯის უმთავრესი მონასტრის – წმ. დავითის ლავრის დაარსების დროისთვის (VI საუკუნის შუა წლები) უდაბნოს მთისა და მიმდებარე ყარაიის ველის ქართლის ფარგლებში ყოფნის ცნობა წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაშიცაა დაცული. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ წააწყდა ნადირობისას რუსთაველი დიდებული, სახელად ბუბაქარი, უდაბნოს მთაზე სალოცავად ასულ წმ. დავითს.

აზერბაიჯანს ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ რუსეთის რევოლუციის მოხდენიდან მოკლე ხანშივე გაუჩნდა. ამიერკავკასია ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, როცა 1917 წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი დროებითი ხელისუფლება – ამიერკავკასიის კომისარიატი შეიქმნა. ორი თვის თავზე, კერძოდ 1918 წლის 10 იანვარს, აზერბაიჯანის ხელისუფალთა მიერ წაქეზებული აზერბაიჯანელი მწყემსები, რომლებიც ცხვარს იმ დროს საქართველოს მფლობელობაში არსებულ ყარაიის ველზე აძოვებდნენ, აგრეთვე სხვა შეიარაღებული პირები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ და ააოხრეს წმ. დავითის ლავრა და უდაბნოს მონასტერი. აი რას წერდა ამის შესახებ დავითგარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, მღვდელმონაზონი გერმოგენი: „იანვრის ათს დავით-გარეჯის უდაბნოს დაეცა თათრების (იგულისხმება „აზერბაიჯანელების“) შეიარაღებული რაზმი. რაზმს თან ახლდნენ უიარაღონიც. მთლად გაძარცვეს უდაბნო, გახრწნეს, ბერები დალახეს, ყარაულს იარაღი აჰყარეს და უწყალოდ სცემეს, დაამტვრიეს და მილეწ-მოლეწეს კანდელები, ტრაპეზები, ხატები. ისე გახრწნეს რო, უბრალო სკამიც კი არ დაუტოვებიათ. მოგეხსენებათ, რომ დავით-გარეჯის უდაბნო შესანიშნავი ისტორიული ნაშთია, აღსავსე ფასდაუდებელი ისტორიულის მნიშვნელობის საღმრთო ნივთებითა. ასეთი დღე ამ უდაბნოს არ დასდგომია შაჰაბაზის დროსაც კი. გაძარცვა არ აკმარეს, შენობებს ცეცხლი წაუკიდეს ყოველი მხრივ. ხალხი ჩაეშველა უდაბნოს და ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ დარჩა მხოლოდ ცარიელი დამწვარი ფიცრები. სიმდიდრე ხომ წაიღეს, შეაგინეს, შეურაცხყვეს და წაბილწეს ისტორიული სიწმინდენი და ძეგლნი – ეს არ აკმარეს. აიღეს ჩვენივე, ბერების წერაქვები და ჩვენ თვალ წინ დაანგრიეს, დალეწეს, ლუკმა-ლუკმა აქციეს ტაძრების კანდელები, ტრაპეზები, ხატები, გააფუჭეს გამოკვეთილებში მხატვრობა, თითქოს განგებ შემოსევია ვინმე და დაუვალებია, ყოველივე ნიშან-წყალი გაექროთ ძველის ქართული კულტურისა. შეუბრალებლად სცემეს ბერებს, დაატიტვლეს და ღვთის-ანაბარად დატოვეს. ეს ადგილები ჩვენია, – გვიყვიროდნენ ისინი შეკითხვაზე, – მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართო; გვნებავს – დავანგრევთ, გვნებავს – დავწვავთო. მე მგონი, ქართველი ერი მოვალეა, ხმა ამოიღოს და მოსთხოვოს თათართა საეროვნო საბჭოს, ალაგმონ თავისი ხალხი, ნუ იწვევენ უსიამოვნობის და გადახდის ჟინსა“.

თავდამსხმელთა ქცევიდან აშკარა გახდა, რომ მათი ამოცანა არა იმდენად მონასტრის საგანძურისა და სხვა ღირებული ნივთების დაუფლება, არამედ სამონასტრო ქონების სრული განადგურება იყო. ამგვარ ქმედებას კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა: თუ ბერები მონასტრების განახლებას ვერ შესძლებდნენ, ყარაიის დაუსახლებელი ველი ქართველთა მეთვალყურეობის გარეშე დარჩებოდა და აზერბაიჯანელები ჩვენს საძოვრებს ადვილად დაისაკუთრებდნენ. თავდამსხმელები ამას დაუფარავად აცხადებდნენ კიდეც: „მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართო“.

ამიერკავკასიის კომისარიატს დავითგარეჯში მომხდარ ვანდალობაზე არანაირი რეაქცია არ მოუხდენია. დამნაშავეები არ დაუსჯიათ. 1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა და მასში შემავალმა სამმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დაახლოებით ერთ კვირაში, 1918 წლის 4 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელა საპროტესტო განცხადება აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ თურქეთთან წარმოებული მოლაპარაკებების გამო, რომლებიც აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული საზღვრების კორექციასა და დადგენას ეხებოდა. საქართველოს მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სადავო საკითხები აზერბაიჯანსა და სომხეთს თბილისში უნდა დაესვათ, თურქეთის ჩარევის გარეშე, ხოლო საქართველოს მონაწილეობის გარეშე თურქეთთან რაიმე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქართული მხარისთვის ის მისაღები და სავალდებულო ვერ გახდებოდა. იხ. აღნიშნული განცხადების ტექსტი:

„№180 Заявление Правительства Грузинской Республики по поводу переговоров Азербайджана и Армении с Турцией. Тифлис, 4 июня 1918 года. Правительство Грузинской Республики, осведомившись, что представители Азербайджана и Армении ведут с Оттоманским Правительством переговоры об установлении и исправлении границ этих стран, постановило указать Национальным Советам последних, что исправление и установление границы между Грузией, Азербайджаном и Арменией составляет компетенцию Правительств означенных стран, и что Правительство Грузинской Республики может вести с представителями Азербайджана и Армении непосредственные переговоры по означенному вопросу в Тифлисе, без вмешательства Турции. В случае же, еслибы оказался какой-либо по сему предмету договор между Оттоманской Империей, с одной стороны, и Азербайджаном и Арменией, с другой, или с одной из них, то таковой договор Правительство Грузинской Республики ни в коем случае не может признать для себя приемлемым и обязательным“.

აზერბაიჯანული მხარე თურქეთთან ცალმხრივი მოლაპარაკებებით არ დაკმაყოფილდა და საქართველოს სრულიად გაუგონარი ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. 1918 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. გაჯინსკი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „საქართველოს მთავრობამ, მიაჩნია რა, რომ ბორჩალოს მაზრა მისი ტერიტორიაა, იქ ქართული ჯარი და გერმანული რაზმი შეიყვანა, თითქოსდა, მაზრის ყაჩაღური ბანდებისგან გასაწმენდად... იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად მუსლიმებით დასახლებული ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოთქვეს სურვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, ჩემი მთავრობა პროტესტს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის ზემონახსენები განკარგულების წინააღმდეგ...“.

17 ივნისს ნოე რამიშვილის ხელმოწერით გაგზავნილ საპასუხო წერილში ეწერა: „ბორჩალოს მაზრა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიას და არასდროს გამხდარა კამათისა და ეჭვის საგანი... იმედს გამოვთქვამ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მომავალში არ დაუშვებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას“.

საქართველოსადმი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების პროვოცირებას, არცთუ იშვიათად, თავად ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა იწვევდა: იზიარებდა რა ლ. ნათაძის წინადადებას საქართველოში მცხოვრები თემების ეროვნული ნიშნით გამიჯვნის შესახებ, 1917 წლიდან მოყოლებული მენშევიკური მთავრობა მეზობელ ქვეყნებს ჰპირდებოდა, რომ საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიებს გადასცემდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით წერდა მიხეილ ადამაშვილი (მ. ჯავახიშვილი): „ჩვენი ბრმა და ყრუ მთავრობა ხელზე იხვევს ყოვლად უაზრო და ხალხის დამღუპველ რეალ მოსახლეობას და აპირებს უცხოელებს დაუთმოს საქართველოს ყელი და მთავარი ძარღვები. ყარაიაზის ამბები, დავით გარეჯა, აბასთუმანი და დარიალი მხოლოდ ცდა იყო ჩვენი ძალისა“.

აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით თავის გულისტკივილს რ. ინგილო შემდეგნაირად გამოთქვამდა: „ამას წინად ჩვენ ვწერდით იმ ანორმალ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის და აღვნიშნავდით, რომ ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია ტერიტორიული საკითხის მოუწესრიგებლობით. ჩვენ აგრეთვე ვამბობდით იმასაც, რომ რესპუბლიკის საზღვრები ოთხსავე მხრით შესწორებას მოითხოვენ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მიხედვით. საქართველოს მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის სურვილით არის აღსავსე, მაინც ვერ ახერხებს ამ საკითხების სათანადოდ გადაჭრას და თავიდანვე მოემწყვდია ერთგვარ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსცილდა. მთავრობამ ამ ზაფხულს სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო აზერბაიჯანთან და იმედოვნებდა, რომ ამ აქტს მოჰყვება ძველ გაუგებრობისა და შუღლის უკუგდება. მთავრობა სასტიკად მოტყუვდა! „წითელი“ აზერბაიჯანი ისეთივე უპირობო კონტრაგენტი გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი – მუსავატელი“.

1921 წლის 25 თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს აზერბაიჯანის სსრ მოახდინა

→

ზაქათალას ოლქის ოკუპაცია. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც იმხანად საქართველოს მთავრობის მოვალეობას ასრულებდა, არათუ არ იზრუნა მის დაბრუნებაზე, არამედ ფაქტიურად დაუკანონა ოკუპირებული ტერიტორია აზერბაიჯანს.

1921 წლის 2 მაისს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური კომისია სერგეი კიროვის თავმჯდომარეობით. სერგეი კიროვი, იგივე კოსტრიკოვი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მენშევიკების ყოფნის ბოლო წელს თბილისში რუსეთის ელჩი იყო, ფაქტიურად კი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას ხელმძღვანელობდა, ამ კომისიის თავმჯდომარეობის დროს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ. საქართველოს მხრიდან კომისიაში შედიოდნენ სახალხო კომისრები ალექსანდრე სვანიძე და სილვესტრ თოდრია.

1921 წლის 26 ივნისს თბილისში გამართულ სხდომას, რომელზეც ზაქათალის ოლქისა და ყარაიის ველის საკითხი განიხილებოდა, კომისიის წევრებს გარდა ესწრებოდნენ გრიგორი (სერგო) ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა. აზერბაიჯანის მხარის მიერ (ჰუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი) შემოთავაზებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილების პროექტი: „პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები (ზაქათალის ოლქი და ყარაიის უბანი) მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავო უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებითა და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან, საქართველო მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას ყარაიაზელ გლეხებს გადასცემს და ვალდებულებას კისრულობს ყაზახის გვერდის ავლით არანაირი განკარგულება არ გამოსცეს. იმ მიწების ზუსტად გამიჯვნისთვის, რომლებითაც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია“.

27 ივნისის სხდომაზე ქართულმა მხარემ პროტესტი განაცხადა წინა დღეს აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების პროექტის ტექსტში შეტანილი ერთი ფრაზის გამო: „მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას ყარაიაზელ (ანუ „აზერბაიჯანელ“) გლეხებს გადასცემს“, რასაც მწვავე კამათი მოჰყვა. საბოლოოდ, ზემოთ დამოწმებულ ტექსტში შემდეგი ცვლილება შეიტანეს: „მთელ ძალაუფლებას, გარდა პოლიტიკურისა“ და დადგენილება შესწორებული სახით მიიღეს.

1921 წლის 5 ივლისს თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც დაადგინა შემდეგი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიას ზაქათალის ოლქზე სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“. საბოლოოდ დადგენილება მუხლობრივად ასე ჩამოყალიბდა: „1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის რჩება უცვლელი. 2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიას ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ შემდეგი დაადგინა: ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიას ველისა, დაახლოებით ქვემონახსენებ საზღვრებში, ამასთან დაცული იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ-ს შორის“. ამ ფრაზის შემდეგ, განსაზღვრული იყო ტერიტორიის ფაქტიური მფლობელობის საზღვარი. დადგენილებას თან ერთვოდა ორპუნქტიანი შენიშვნა, რომელშიც მითითებული იყო შემდეგი: „ა) ყაზახის გლეხების მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენა ევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას,



რომელიც მუშაობას შეუდგება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში. ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველით, ყველა შემთხვევაში იხელმძღვანელებენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციითა და დაემორჩილებიან ყაზახის მაზრის აღმასკომს“. დადგენილებას ხელი მოაწერეს რევკომების თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა.

კონფერენციის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური შერეული კომისია, რომლის პირველი სხდომა 1921 წლის 27 ივლისს აღსტაფაში გაიმართა. საქართველოს მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პავლე ინგოროყვა, იმ დროს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მრჩეველი, და ვახტანგ მაჩაბელი. პავლე ინგოროყვამ ქართული მხარისთვის მიუღებლად მიიჩნია კონფერენციის დადგენილების მეორე პუნქტის „ბ“ შენიშვნაში მოცემული ფორმულირება, რამდენადაც მისი ტექსტი გაცილებით მეტს გულისხმობდა, ვიდრე უბრალოდ ყაზახის რაიონის გლეხების ყარაიას ველის საძოვრებზე მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენას. მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, თუმცა გადაწყდა, რომ ზუსტი საზღვრების დადგენამდე ყაზახის მაზრის გლეხებს უფლება მიეცემოდათ დაუბრკოლებლად ესარგებლათ ყარაიას ველის ყველა იმ საძოვრითა და სავარგულით, რითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ.

1921 წლის 8 ნოემბერს თბილისში გამართულ შერეული კომისიის სხდომაზე (თავმჯდომარეები – ვ. კანდელაკი და ა. აბასოვი, წევრები – [illegible] ბერიძე და მ. შიხლინსკი) დადგინდა ყაზახის მაზრის გლეხების ფაქტიური სარგებლობისა და მფლობელობის საზღვრები ყარაიას ველზე. ამ დადგენილებით ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრების ტერიტორიები მთლიანად აზერბაიჯანელ გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში აღმოჩნდა; მათსავე სარგებლობაში გადავიდა ტერიტორია ჩიჩხიტურის მონასტრის იმ ნახევრით, რომელიც უდაბნოს მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს; მეორე, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე განთავსებული ნაწილი კი საქართველოს დარჩა. მომდევნო სხდომაზე, 1921 წლის 15 ნოემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ ადმინისტრაციული საზღვრის გატარების შესახებ, თუმცა ყარაიას ველის ზამთრის საძოვრების მფლობელობის საკითხი კვლავ სადავო დარჩა. ამ დოკუმენტზე საქართველოს მხრიდან ხელი მოწერილი აქვს რევკომის თავმჯდომარეს ბუდუ მდივანს, აზერბაიჯანის მხრიდან კი – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მუხტარ გაჯი ზადეს. აღნიშნული დოკუმენტით უკვე იურიდიულად აზერბაიჯანის ხელში გადადიოდა ზაქათალას ოლქი.

ამავე შეთანხმებით მოწესრიგდა დავა ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის და მეორე სადავო მონაკვეთი დავით-გარეჯიდან მდინარე მტკვარამდე წითელი ხიდის მიდამოებში გადაეცა საქართველოს.

ამრიგად, 15 ნოემბრის შეთანხმებით აზერბაიჯანს გადაეცა ზაქათალას ოლქი 3993,89 კვ. კმ. ტერიტორიით და – 75000 კაცით): თბილისის მაზრის გარეჯის ველი, ქვემო ყარაიის სექტორი 658,89 კვ. კმ.; და სიღნაღის მაზრის ელდარის ველი 546 კვ. კმ. ჯამში 17600 კაცით, ანუ ჯამში 4768 კვ კმ 92668 კაცით.

დავითგარეჯი, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილი ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ 1922 წელს გაჩნდა, რასაც 1921 წელს ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გარეჯის მონასტრებში მოწყობილ კომპლექსურ ექსპედიციას უნდა ვუმადლოდეთ. ექსპედიციის პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლის შემდეგ გიორგი ჩუბინაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომელშიც ხაზი გაუსვა გარეჯის მონასტრების განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში. სამწუხაროდ, იმდროინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ტერიტორიის ბედი პარტიული შეხედულისამებრ გადაწყვიტა.

[illegible] ტერიტორიის დავა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კვლავაც გრძელდებოდა. ამერიკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის 1923 წლის დადგენილებით საქართველოს აზერბაიჯანისგან დაუბრუნდა ე.წ. წინამინდორი – ყოფილი ზაქათალის მაზრის ალაზნისპირა ველი – 188,44 კვ.კმ ტერიტორია.

მომდევნო პერიოდში აზერბაიჯანს ყარაიის ველის საძოვრების დეიურე გადაცემის საკითხი აღარც დაუსვამს, რადგან ამის აუცილებლობა არც არსებობდა: საქართველოს საძოვრების ფაქტიურ მფლობელებად აზერბაიჯანელი გლეხები გვევლინებოდნენ. ამგვარი მდგომარეობა 1924 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციული საზღვრის დემარკაციისადმი დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, როცა საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ამბოხება მოხდა. საქართველო თავისუფლებისადმი სწრაფვის გამო მკაცრად დაისაჯა: ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული, მიწის, ტყის და წყლით სარგებლობის სადავო საკითხთა მომგვარებელი კომისიის სხდომის 1924 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით, შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8 ნოემბერსა და 1922 წლის 28 იანვარს დადგენილი საზღვრები „ნატურაში განმტკიცდა“. ამ დადგენილების საფუძველზე აზერბაიჯანის იურიდიულ მფლობელობაში გადავიდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელზეც აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები მთლიანად, აგრეთვე ჩიჩხიტურის მონასტრის ის ნაწილი, რომელიც უდაბნოს ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. დავითგარეჯის მიდამოებში სასაზღვრო დავასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ოფიციალურ წერილებსა თუ დადგენილებებში საუბარია მხოლოდ საძოვრებზე. აზერბაიჯანული მხარის მიერ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისთვის საზღვრის საკითხთან დაკავშირებით მიწერილ ერთ-ერთი პირველი წერილი, ფაქტიურად, არის თხოვნა საძოვრების გადაცემაზე იმ საბაბით, რომ ყაზახის მაზრის აზერბაიჯანელ გლეხებს საძოვრების ნაკლებობის გამო საქონელი ეხოცებათ და მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამ წერილზე დადებითი რეზოლუციაა წაწერილი, ეს იმ დროს, როცა სიღნაღის მაზრის ქართველი გლეხები თავად განიცდიდნენ ზამთრის საძოვრების ნაკლებობას.

ამერიკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის 1927 წლის დადგენილებით საქართველოს გადმოეცა ყაზახის მაზრის ჩათმის ველი – 132,66 კვ.კმ ტერიტორია, ხოლო 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით გარეჯის სანახების მხოლოდ ნაწილი – ბერთუბანი და სხვა აზერბაიჯანს დარჩა.

2000-იანი წლებიდან აზერბაიჯანელები აღარ კმაყოფილდებიან არსებულით, ამოდიან ჩიჩხიტურის ქედზე და პერიოდულად იკავებენ ჩიჩხიტურის მონასტერს სრულად.

წყარო: https://umurgulia82.blogspot.com/2017/05/19211924.

გუგლში დავით გარეჯის საზღვრები შეიცვალა

10 მარტი, 2020, https://artinfo.ge/

გუგლის რუკაზე დავით გარეჯის საზღვრები შეიცვალა.

ინფორმაციას დავით ქაცარავა ავრცელებს:

„მეგობრებო!

გარეჯში საზღვრები შეიცვალა გუგლის რუკაზე და არა ჩვენ სასარგებლოდ!

აღდგომის, უდაბნოს მონასტრები და საგარეჯო-რუსთავის გზაგასაყარის ერთი მონაკვეთი მოექცა აზერბაიჯანის მხარეს.

ვინმე თქვენგანი ფიქრობს, რომ გუგლმა ეს თვითნებურად, ან მხოლოდ აზერბაიჯანული მხარის მოთხოვნით შეცვალა?

საიდან ასეთი ოლიმპიური სიმშვიდე?

დავთმეთ გარეჯი? მაგრად გვკიდია და მხოლოდ კორონა გვაღელვებს?

აი, ზუსტად ესე, წყნარად და აუღელვებლად შევეგუეთ ჩვენი ხელისუფლების მიერ სომხეთისთვის ხუჯაბის მონასტრის გადაცემის შემთხვევაში.

ჯერი გარეჯზეა. აბა ჩვენ ვიცით.“





დაგვაკარგვინა თუ არა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დავით გარეჯი?

მოდით, ყურადღებით განვიხილოთ თუ რა განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა 2019 წლის 27 თებერვალს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ვიზიტისას დავით გარეჯის შესახებ:

„ჩვენი მეგობრობიდან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ რომ უნდა მივცეთ სადელიმიტაციო კომისიას მითითება, რომ განაახლონ თავიანთი მუშაობა და მივიყვანოთ ეს მუშაობა ბოლომდე და საბოლოოდ დავადგინოთ ჩვენი ერთობლივი საზღვარი, რომელიც უნდა იყოს გამაერთიანებელი საზღვარი და არა გამიჯვნის საზღვარი. მაგრამ ნორმალურია, რომ გამომდინარე ჩვენი მეგობრული ურთიერთობების, ეს საკითხი ბოლოს და ბოლოს დასრულდეს ამდენი წლის შემდეგ.“ - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

დელიმიტაცია - საზღვრის დადგენის პროცესი, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებაში დაწვრილებით აღიწერება, თუ სად გადის სასაზღვრო ზოლი და ამ აღწერის შესაბამისად კეთდება აღნიშვნა რუკაზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ანუ, მან განაცხადა თანხმობა საზღვრის დელიმიტაციაზე, ესე იგი დათანხმდა სასაზღვრო ზოლის ხელახალ გადახედვას. აი, ეს კი ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილი დათანხმდა აზერბაიჯანული მხარისთვის დავით გარეჯის ტერიტორიის გადაცემას, რადგან ამ დრომდე, საზღვრის დელიმიტაციის პროცესის ერთადერთი შემაფერხებელი იყო სწორედ ის, რომ აზერბაიჯანული მხარე აცხადებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს უდაბნოს სრულ ტერიტორიაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. ჩვენ არ ვთანხმდებოდით ამ დრომდე, მათგანაც არ იყო ძალდატანება, არამედ - მხოლოდ შეთავაზება.

სალომე ზურაბიშვილის სწორედ ეს განცხადება ნიშნავს, რომ ქართული მხარე დათანხმდა აზერბაიჯანული მხარის პირობებს, რამეთუ მისი თანხმობა ამ ყველაფრის ლეგიტიმაცია ანუ დაკანონებაა, რასაც მთელი ამდენი წელი არც ვთანხმდებოდით და ვიმეორებ, არც მათგან იყო ძალდატანება.

ახლა გავეცნოთ აზერბაიჯანელი პოლიტოლოგების შეფასებებს ამ საკითხთან დაკავშირებით:

ილგარ ველიზადე: „საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადება ბაქოში პოლიტიკურ გამოწვევად მიიჩნიეს. ამის შემდეგ დაიწყო აჟიოტაჟი ამ თემის გარშემო.“

ელჰან შაჰინოღლუ: „სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შესასვლელის დახურვის გადაწყვეტილება ოფიციალურმა ბაქომ მიიღო და ეს დაკავშირებული იყო მესაზღვრეებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან. ამის შემდეგ საქართველოში ბევრმა ოფიციალურმა პირმა დაიწყო მისი სიტყვების გამეორება. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს განცხადებები ერთი ცენტრიდან იმართებოდა. ოფიციალურმა თბილისმა აზერბაიჯანთან მოლაპარაკებისას რიტორიკა უნდა შეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაძაბულობა უარყოფითად აისახება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე. აზერბაიჯანში ასევე ისმის მოწოდებები, რომ დაიწყოს „ავტონომიის მოთხოვნა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის“. ყველაფერი, რაც ხდება, არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს და აზიანებს ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს.„ „მიეცით ნებისმიერ ერს დავითგარეჯი და მას ბრწყინვალე ისტორია ექნება!“ - ნიკო კეცხოველი. აი, ეს საგანძური დაგვაკარგვინა პრეზიდენტმა სალონე ზურაბიშვილმა.

ლუკა ყიფიანი
სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი

"ნეიტრალიტეტის" ქარაფეტცა და გველაძუა მქადაგებლებს!

ბოლო წლებია ჩვენში მომრავლდნენ ნეიტრალიტეტის მქადაგებელი „მშვიდობის მტრედები“, სინამდვილეში კი მოსკოვის მსტოვარ-ჯაშუშები, რომელთაც ლუბიანკის ტალანებიდან დავალებული აქვთ საქართველოს ნეიტრალიტეტის ქადაგება და საზოგადოებრივი აზრის მომზადება ამისათვის.

ჩვენი აწინდელი პუბლიკაციის მიზანია გადავხედოთ ჩვენი სამშობლოს ორსაუკუნოვან ისტორიას რუსეთთან მიმართებაში და გასული საუკუნის დასაწყისიდან ევროპის ქვეყნების ნეიტრალიტეტის ვითარებას.

და ამით გამოვააშკარაოთ ამ რუსულ ფარაჯაში შეფუთულ ჯაშუშთა ხვაშიადი.

ახლა კი გავეცნოთ სიტყვა ნეიტრალიტეტის კლასიკურ განმარტებას:

„ნეიტრალიტეტი (გერმ.Neutralität, ლათ. neuter — არც ერთი, არც მეორე) — საერთაშორისო სამართალში — ომში არმონაწილეობა, მშვიდობიან პერიოდში საომარ ბლოკებში მონაწილეობისგან უარის თქმა.

ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სამართალი შეიცავს სამ შეზღუდვას ომის პერიოდში ნეიტრალური ქვეყნის მოქმედებაზე სხვა სახელმწიფოთა შორის:

არ მიაწოდოს საკუთარი შეიარაღება მეომარ მხარეებს;

არ დაუთმოს საკუთარი ტერიტორია მეომარ მხარეებს (ბაზირება, ტრანზიტი, გადაფრენა და მისთ.);

არ გაუწიოს დისკრიმინაცია რომელიმე მხარეს სამხედრო დანიშნულების იარაღისა და საქონლის მიწოდებისას (ანუ შეზღუდვა ან ერთნაირი უნდა იყოს, ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს).

ტრადიციულად ნეიტრალიტეტი ორი სახისაა:მუდმივი და ევენტუალური. მუდმივი ნეიტრალიტეტის დროს სამხედრო ბლოკებსა და მოქმედებებზე უარის თქმასთან ერთად ასეთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა არსებობდეს ერთმანეთთან მეომარი ქვეყნის ჯარები ან სამხედრო ბაზები. ევენტუალური ნეიტრალიტეტის პოზიციისას კი ქვეყანა გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დროს თავს იკავებს. ნეიტრალიტეტის თვალსაზრისით ყველაზე „სტაჟიანი“ ქვეყნებია შვედეთი (1814 წლიდან), შვეიცარია (1815 წლიდან) და სან-მარინო (1862 წლიდან).

გადავხედოთ ევროპის ქვეყნების ნეიტრალურ წარსულს:

იტალიური ომების პერიოდში, კერძოდ კი მარინიანოს ბრძოლის შემდეგ 1515 წელს შვეიცარიის თანამეგობრობამ, რომელიც არსებობდა 1291 წლიდან „მარადიული კავშირის“ სახით, აირჩია ნეიტრალური განვითარების, მიუმხრობლობის გზა, რომელიც საბოლოოდ ოფიციალურად აღიარეს 1815 წელ ვენის კონგრესზე.

და დღესდღეობით შვეიცარია რჩება კლასიკურ ნეიტრალურ ქვეყნად.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ნეიტრალიტეტის გზას შექმნისთანავე, 1830 წლიდან, დაადგა ბელგიის სამეფო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას კაიზერის გერმანიამ უხეშად დაარღვია ბელგიის მიუმხრობლობის სტატუსი და შეიჭრა ქვეყანაში.

ამ დროისთვის ანტანტის ქვეყნების ძალისხმევით შენარჩუნებულ იქნა ნიდერლანდების მიერ 1914 წლის აგვისტოში გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, რომელიც 1940 წელს ნაცისტურმა გერმანიამ დაარღვია და შეიჭრა ნიდერლანდების სამეფოში.

დანიის სამეფოც პირველი მსოფლიო ომის

დროს იყო ნეიტრალური, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას გერმანიამ მისი მიუმხრობლობაც დაარღვია და შეიჭრა ამ სამეფოში.

ფინეთმა რუსეთის იმპერიის დაშლისთანავე აღადგინა სახელმწიფოებრიობა და გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ 1939 წელს მას ომი გამოუცხადა სტალინურმა სსრკ-მ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ნეიტრალიტეტი ისევ იარჩიეს სკანდინავის ქვეყნებმა, შვედეთის სამეფომ და ფინეთმა.

შვედეთის სამეფო ნეიტრალიტეტს იჭერდა ნაპოლეონის ომების პერიოდიდან. მეორე მსოფლიო ომის დროს შვედეთის სამეფო კარი მრავალჯერ გახდა იძულებული დაჰყოლოდა გერმანიის ულტიმატუმებს, ქვეყანაში ნაცისტური ჯარების შეჭრის თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ რუსული აგრესიისგან თავდაცვის მიზნით ბოლო ათწლეულში ეს ქვეყნები სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ნატო-ს სამიტებში და ემზადებიან ნეიტრალიტეზე უარის სათქმელად.

1995 წლიდან კი ფინეთი და შვედეთის სამეფო არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

2002 წლიდან შვედეთის სამეფომ ოფიციალურად დაუტევა ნეიტრალიტეტი.

ირლანდია 1921 წლიდან დიდი ბრიტანეთის სამეფოდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1973 წლამდე იყო ნეიტრალური, ამ წელს კი გაწევრიანდა ნატოში.

1990-2014 წლებში უკრაინა სამხედრო ბლოკების მიმართ იყო ნეიტრალური სახელმწიფო. დღეს კი რა ვითარებაცაა ამ ქვეყანაში, ყველასათვის ნათელია.

ნეიტრალიტეტი არც საქართველოს პირველი რესპუბლიკისთვის ყოფილა უცხო, გადავხედოთ ჩვენს ახლო წარსულს:

1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა

მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი

სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა

დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური

სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა:

ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოც-დემოკრატიულმა მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დადო ხელშეკრულება .

მოსკოვის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურედ ცნო სანაცვლოდ პირობისა, რომ საქართველო საკუთარ მიწაზე საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების ჯარებს არ განალაგებდა.

მაგრამ არც საბჭოთა რუსეთმა უღალატა რუსული სულის ველიკოდერჟავულობას და 1921 წლის თებერვლის თვეში შემოიჭრა საქართველოში და 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრო საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

შეგახენებთ, რომ რუსეთის იმპერიასთან 1783 წელს დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატით“ ცნობილი სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით, ქართლ-კახეთის სამეფო რჩებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ „ერთმორწმუნე“ ცარისტული რუსეთის იმპერიის მოკავშირედ.

და დღეს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს ნეიტრალიტეტის მქადაგებლები არიან რუსეთის მოსკოვიტური იმპერიის ფარული თუ აშკარა ემისრები, რომელთა მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრული განადგურება და ანულირება!

***P.S.** რაც შეეხება აფრო-აზიელთა შემოსვლას, გადახედე თ, ყველა ის ქვეყანაა, რომლებიც გაეროში რუსს აპეკუნობენ, აქაც რუსის სუნია. არაა გამორიცხული მოგვიქსევს და მერე "გვიშველის" რა თქმა უნდა! ნახეთ, რუსმა შემოსვლისთანავე შემოყარა არა მარტო სომხები არამედ თურქმანული ტომები თარაქამები და სხვა სელჯუკები და გაავსო აღმოსავლეთ საქართველო, ჩრდილოეთი ოსებით და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსს ვახსენებთ უპირველესად. ხოლო მხოლოდ აფრო-აზიელებზე აქცენტის გაკეთებას საერთაშორისო საზოგადოება აღიქვამს უცხოს მიმართ სიძულვილად. აბა, ნახეთ რამდენი სირიელი ლტოლვილია რუსეთში? ევროპაში მილიონს აჭარბებს უკვე! და სირიაში ვინ დაანთო ცეცხლი? თუ დავაკვირდებით საქართველოში ძირითადად ხიზნები შემოდიან სწორედ იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გაეროსა თუ სახვა საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთს აპეკუნობენ და უჭერენ მხარს. რუსეთს ხომ ჩვენს წინაღმდეგ მრავალი მხრიდან აქვს ფრონტი გახსნილი. ნუთუ ამის მიხვედრა და ამოცნობა ასე ძნელია?! საქართველოს დღევანდელი დილემა ხომ ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინიდან იღებს სათავეს? რუსის შემოსვლიდან კი განუწტვეტლივ, ეტაპობრივად მიმდინარეობდა საქართველოს დემოგრაფიული სურათის ცვლა ქართველთა საზიანოდ. ამის შესახებ წერდნენ ქართული ისტორიოგრაფიის მესაძირკვლენი.*

ჩვენი სატკივარის დიაგნოზი სწორედ ამ კუთხიდან უნდა დავსვათ. ეს არის რუსეთის მრავალნაცადი ხერხი და ტაქტიკა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში!

ალექსანდრე სანდუხაძე

ქართული მწერლობა

ჰაკი თუ სამსონ დავანაძე

ლალი ბარძიმაშვილი

ორი საპირისპირო ტიპი სამსჯელო საგანია მით უფრო, რომ სამსონ დავანაძის სახე გამძლე აღმოჩნდა ჩვენს სინამდვილეშიც. ორივე პერსონაჟი იკვეთება მაშინ, როცა ქვეყანაში სხვა ძალა ჩნდება - უცხო, მიუღებელი. სამსონი საკუთარი თავის მეციხოვნე კაცია, არა ხელგამომღები საკაიკაცოდ. დიახ, მეციხოვნეა, ოღონდ უსაფრთხოდ იყოს და იქ არავის გააჭაჭანებს, არავის შეესვლება, თუ თავად არ გადაწყვეტს... გულჩაკეტილი კაცია, არადა ქალაქი აბარია, ქალაქთან ერთად პასუხისმგებლობა. მასში გადარჩენა არაა, გადამრჩენელი არაა... დიდკაცობის მოტრფიალეა, ტიპური კარიერისტი, წვრიმალი ადამიანია... ჰაკის მოქმედებაში მხოლოდ სიწრფელეა და ერთგულება, სისხლხორცეული მნიშვნელობისაა ერთგულება. ამის შემოძარცვას სიკვდილი ურჩევნია. ერთგულებისგან განძარცულ გარემოში ყოფნას რა აზრი აქვს?! მაამებლობა კი მუდამ უპრინციპოა. ჰაკი ერთსახოვანია ყველა ამ ორსახოვანთა შორის. აქ ძალა და გული პირისპირაა...

სამსონი არცთუ მარტო იქნება, მას ჰყავს მიმდევარნი, ჰაკის - არა. დავანაძე ჭარბი ტიპაჟია, მოიცავს გარემოს და ჭარბადაა მის ირგვლივ მოტრიალე წრე. ასეთია არსებული ვითარება. მაღალმა ადგილმა (და არა მაღალმა სულმა) იცის კეთილისმყოფელთა სიმრავლე. ის საჭირო კაცია... ჰაკი მარტოხელაა. მხოლოდ შიშს შეიძლება დაბრალდეს სამსონის ცმუკვა, წრიალი? თუ კარიერის, მდგომარეობის შენარჩუნების უბადრუკი ცდაა. ჰაკი საჭირო კაცი არაა, ის აუცილებელია, თუმცა ეს აუცილებლობა დათმობილია... ჰაკი გადამრჩენელია და არაფერს ირიდებს. გულწრფელი სიკეთეც კარგავს თავის მნიშვნელობას ამგვარ გარემოში და ემხაც ვერ მიიღებს ამ წყალობას. ეს უფრო წყალობას ჰგავს ასეთ დროს - ამგვარ წრეში. ჰაკის არავინ აჰყვებოდა. უგამოძახილო საქციელი კი სიკვდილზე უკეთესი არაა. სამსონის ქმედებას აქვს გამოძახილი, პირი შეუკრავთ, გაერთკაცებულან ანუ დავანაძეები შეკრებილან... ღირსება მათთან, ანდა სიყვარული ნულის ტოლია, უსაფასურო გაუფასურებულია!

უჯუში შემთხვევის მსხვერპლია, ჰაკი - ყველაფრის. არის რაღაც, რაც სამსონს არ უნდა დაეთმოს, არ უნდა დანებდეს და ასეთ დროს სიკვდილითაც უნდა თქვა უარი, ასეთ ვითარებაში სიკვდილიც მოსახვეჭია, რადგან სიცოცხლე ბევრჯერ, მაგრამ სიკვდილი კი ვერ დაიწიხლება. სამსონთან სიცოცხლით ვერ გაიმარჯვებ, მასთან გმირობით უნდა გაიმარჯვო. კრეისერის მოსვლამ მხოლოდ გამოკვეთა ეს. სიმართლეს ვადა გაუვიდა. მორჩილი მასა ცდილობს, არც მწვადი დაწვას, როგორც თქმულა, არცა შამფური, ამ შუალედშიც მოქცეულიყვნენ ფეხაკრეფილნი, გაყუჩებულ-ჩასაფრებულნი... აწრიალებულია სამსონი, აწრიალებულია ჰაკიც, აზვირთებულია უცხო "სტუმარი". ერთნი ტრაგედიას ამზადებენ, ჰაკი ხსნას ცდილობს. სამსონი უბედურების ხელშემწყობია, მეორე ღირსების გადარჩენის, ერთი დამამცრობელია, მეორე - განმადიდებელი. ჰაკის სამსონის მდგომარეობა უშლის ხელს, მას ყველაფერი ძალუძს, ჰაკის მხოლოდ თავდადება. მოსული კი გამყოფია, მშთანთქავი. მტარვალობაც თან მოიყოლა. ერთ კაცში არ არის საშველი, როცა ირგვლი უსაშველობაა და ჰაკიც ამაოდ აწყდება აქეთ-იქით.

რეგალიები გადარჩება, კაცობა ვეღარ. კაცობა სიკვდილსაც კი ჩაჰყვება და აკი ჩაჰყვა კიდეც. სხვაობა სამსონთან ჰაკითაა დაძლეული, ჰაკია წინააღმდგომი... მას გული კარნახობს რა იმოქმედოს, სამსონის დატყვევებული გულის ავი შედეგი კი ესაა - მიერთვა (და არა გადაეცა), როგორც რო ნივთი ისე მიერთვა რუსს თანამოძმე. წყალს გაჰყვა, დინებას კრეისერი და უკან დარჩა წყალწაღებული მასა (და არა საზოგადოება). წყალს მიჰყვებოდა თითქოსდა საარსებო-საპირველადო ღირებულებები...

სამსონი არსებობას განაგრძობდა, არამ სიცოცხლეს, ჰაკი დასრულდა, რადგან უსასრულო სიცოცხლე კი არა, ღირსებაა, ერთგულება, სახელ-კაცობა... სამსონი ხომ მხოლოდ დროის შვილია, მორჩილი, თვინიერი, გულშეუძვრელ-უდრტვინველი, არადა ქალაქი აბარია... ჰაკი კი უდროობის შვილია! ვიღაცას უნდა გაეწირა თავი საზოგადოებრივი შეგნების გადასარჩენად. "თავკაცობა" არაა ვალი, ვალი ადამიანობაა. ორივე ზღვართან შედგა - ერთი ქვედაეშვა, მეორე -ზეაღიწია! ჰაკი უჯუშის თანაკაცია, სამსონს თანაკაცობა არ ძალუძს... სამსონთაგან კაცურ ნაბიჯს არც უნდა ელოდე... კრიტიკულ ზღვარზე კრეისერმა კი არა, ადამიანობამ გაიარა! დაძაბუნებული და მედგარი გულიც სხვადასხვარამაა... სამსონს არ ჰყავს შემდავებელი, ჰაკის ჰყავს მოდავე... ის არის ქალაქის თავი, რომელიც ყველაფერს მოიმოქმედებს ქალაქის წინააღმდეგ. როგორი საშიშია ჩვეულებრივი კაცი მაღალ თანამდებობაზე... იციან ბოლო ანუ შედეგი და ამას ერთგვარი მოწადინებითაც კი აკეთებენ. მწერალმა გვითხრა, რომ წინააღმდეგობა აუცილებელია. (ადრინდელ საგაზეთო სტატიაში ვწერდი სხვადასხვა ცნობიერებაზე - უჯუშს მკერდს წმ. გიორგის ორდენი უმშვენებს, ხრიტანიუკს ნამგალ-ურო და ა. შ.)

არასაზეიმო ზეიმი; ამ ფონზე ყოველივე შეტრიალდა. გამოურკვევლობაა დანაშაული. გადაეფარნენ არა ემხას, არამედ ხრიტანიუკის დანაშაულს.

სამსონ დავანაძე - მაინც აულაგმავი სახე; ემსახურები თუ განაგებ?! სამსონი ემსახურება მოსულს. რა გინდა გააწყო, როცა არავინ არაფერს თაკილობს და ერთხმად ავნებობს... შეიძლება ერთ დღეს მიიღო ასეთი დავანაძე და ქვეყანაც გადააყოლო... როგორ ჩნდება ჰაკი ნაწარმოებში? მოგელავს, მოჰქრის, სხვები დაფაცურობენ, ეს მოიჭრება.

რა გინდა რა გარემოც იყოს, როგორ შეიძლება ის დაგავიწყდეს - ვინ ხარ! რას უდებ დასაბამს.

(2019 წ.)

პიროვნების რაგვარობის საკითხი

(შტრიხები ქართული მწერლობიდან)

საბას ერთ-ერთ საგულისხმო და ნიშნეულ იგავს გავიხსენებ - "მოტირალი და მოცინარი":

" ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახევდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო?

მან ეგრე თქვა: რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაცინებსო?

მან ესრე თქვა: ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელია?"

მთელი უცნაურობაც ამაშია, რომ ისე არ ხდება როგორც უნდა ხდებოდეს და რა ქნას ადამიანმა ამ შემთხვევაში? რა არის ცხოვრების საგანი? ტირილი და სიცილი გამოსავალს არ გაპოვნინებს. გამოსავალი ეს არ არის; ტკივილში არ რჩებიან, ტკივილიდან გამოდიან. რას აქვს აზრი? - ბრძოლას, რა მაგალითსაც თვითონ მწერალი გვაძლევს სააშკარაოზე გამოტანით, ავლენს დაღს საზოგადოებისას, რომელიც სიმახინჯეს ნებდება. უნდა გაჩნდეს სილამაზის საჭიროების და აუცილებლობის მოთხოვნილება. ეს უნდა დაიბადოს მწერლობით, თქმით, სიმართლით. ცხოვრების მანკიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება ნათელი მხარის გასაძლიერებლად ხდება. განსაცდელისას მადლი უნდა გარდაემატოს - როგორც ამბობენ წმ. მამები. სიძნელის გავლით სიკეთე უნდა დამკვიდრდეს. მწერალი ყველაზე საიმედო ადამიანია!

ერთი ნიშანდობლივი შტრიხია, პარადოქსულიც კი, ვაჟას "სტუმარმასპინძელში". ჯოყოლას სახლში სტუმარია, "დროული," (ასაკიც კი ხაზგასმულია). იგი დამღერს გმირობის ამბებს. დავაკვირდეთ, რაზე მღერის და მერე რას გამოავლენს. საზოგადოებაში სულ არის გმირის შინაგანი მოთხოვნილება, თუმცა რეალურ ცხოვრებაში რამდენად ხდება მისი მიღება და გათვალისწინება, თუ უარყოფა უხვდება წინ და უკუგდება. სრულიად საპირისპირო საქციელია გმირობისა, რასაც ის ჩადის. ზვიადაურთან ერთად ხომ თანამოძმეა გამეტებული. ზვიადაური თუ დამნაშავეა, ჯოყოლას ხომ არაფერში უძღვის ბრალი. კაცი, რომელიც გმირებზე მღეროდა, შემდგომ - "ენასა ჰლესავს შხამითა." როგორ უჩუმრად, იდუმალ, მალულად იქმს ამას. ეს უკვე არის ადამიანურობის დარღვევა და გათელვა. ზურგსუკან მოქმედება გმირობის საწინააღმდეგოა, ძირგამომთხრელია, დამცრობაა, ფანდი და ხრიკია. გმირობის შესატყვისი საქციელი ეს არ არის. კაცობა ის იქნებოდა პირისპირ განდობოდა ჯოყოლას, ვისაც "ჭკვათხელიც" კი უწოდა თანასოფლელებთან. ჩასაფრებას არ თაკილობენ. იმედგაცრუებული რჩება მიტომაც ჯოყოლა თამანოძმეთაგან, რადგან ამ ქვენა გრძნობებმა ადამიანობა შეიწირეს, გმირობა გაიყოლეს და ამ სიწამხდრესაც უმხედრდება იგი. პროტესტი დაიბადა, რაც ბუნებრივია. საყოველთაო ფასეულობების დამკვიდრებას ემსახურებიან ვაჟას გმირები. ისინი, ცხადია, ცდებიან ერთი თემის, ერთი კოლექტივის ფარგლებს იმ ზოგადსიმართლის-

გაგრძელება გვ. 12

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

უკანასკნელი ნადირობა

დოკუმენტური ნოველა

თემურ ჭანნაკია

ორიათასთერთმეტი წელია, იანვრის სუსხიანი დილა თენდება. ფიფქები მეჩხრად იფრქვევა ალიონის ნაცრისფერი ციდან, თითქოს ღრუბელში იცრება თოვლი. ხის სარკმელი ოდნავ ღიაა, ოთახში ცივი სიო იჭრება. ღუმელი გავარვარებულია ეკლის ცეცხლით. მე და ნოდარმა ვისაუზმეთ და ფლეიბოის კარტით ჯოკერს ვყომარობთ, მიგებს.

ნოდარიკო ჩემი ბიძაშვილია დედის მხრიდან. ჩვიდმეტი წლის ბიჭია, მაღალი, ხმელი აღნაგობის, გურამ რჩეულიშვილს ჰგავს. ოდნავ კეხიანი ცხვირი, მარჯვნივ გადავარცხნილი ქოჩორი ,მაღალი შუბლი, ხვეული თმა და წაბლისფერი თვალები აქვს, დედისერთაა. მთიან სოფელში, თხილაგანში ცხოვრობს, სადაც წელს საზამთრო არდადეგების გატარება ვამჯობინე. სოფელი თხილაგანი ჩოხატაურისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მდინარე ხევისწყალის ხეობაში, აღნიშნული მდინარე სოფელს ჰყოფს ორ ნაწილად. სოფელში არც აფთიაქია, არც სკოლა, არც მაღაზია, არც ავტობუსი დადის, რადგან ამორტიზებულია სოფლის შიდა გზა. დღესდღეობით ხუთი კომლი ცხოვრობს, უმრავლესობა მოხუცები, ყველას ჯვარი ეწეროს და სასწრაფოდ ექიმი რომ დასჭირდეთ, სულ მცირე ერთ საათში ამოვლენ ქალაქის სამედიცინო დახმარების პუნქტიდან, მანამდე კი უფლის იმედად უნდა იყვნენ. ალბათ ეს სოფელიც მალე იქცევა ნასოფლარად, იმ ათობით გაუკაცრიელებული მაღალმთიანი სოფლის მსგავსად. ზამთარში გზა იკეტება და მარტამდე სოფელი გარესამყაროსაა მოწყვეტილი. აქაურები ქვემოიმერულ კილოზე საუბრობენ და ზოგიერთ სიტყვას ისე დამახინჯებული ფორმით ამბობენ, გულიანად გაგეცინება კაცს.

ბანქოს თამაშის დროს ნოდარის ფარნიანი ნოკია აწრიპინდა, მაშინვე მწვანე ღილაკს დააჭირა ცერა თითი, მობილური ყურთან მიიტანა

- ალო, გისმენ, ბადრია! - კაი, ჩამუალთ ქვეით ახლავე, - გათიშა და მომიბრუნდა.

- მიდი, ფეღზე ვალინკები ჩეიცვი და გაღმა გევიდეთ დროზე.

- რა გვინდა ბიჯო გაღმა, ხო მშვიდობაა?! - ვკითხე შეშინებულმა, ბებიაჩვენს ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი.

- კურდღელი დოუნახია ბადრიას ეზოს მესერთან და წამო იქნება მოვკლათ.

- კარგი-მეთქი, ვუპასუხე გახარებულმა, ჩავიცვი რეზინის ჩექმები. ჯემპრზე ქურთუკი მოვიცვი, ყურებიანი ქუდი დავიხურე და აივანზე გამოვედი. ნოდარმა ლაფაროდან თხილის ტოტებისგან მოქსოვილი თხილამურები, ორი თოფი და თავისი შეკერილი ტყავის პატრონტაჟი გამოიტანა, რომლის მომცრო ჯიბეებში პლასტმასის ერთჯერადი ვაზნები ეწყო. მითხრა, ოთხი ნომერი გილზები ჩავდოთო. თხილამურები ჩავიცვით, თოფები გადავიკიდეთ. მე ბაბუაჩვენის ნაქონი, ძველი ცალპირა ტულა, თვითონ ორპირიანი ტოზი გადაიკიდა მხარზე, ლულებით ზემოთ და გავიქცეთო მითხრა. დაახლოებით ორმოცი სანტიმეტრი სისქის სპეტაკი თოვლი ფარავდა წითელ მიწას, ბუმბერაზ მთებში მოქცეულ სოფელში შარახვეტია ქარი სისინით დაქროდა. თავიდან ცოტა შემცივდა, მოძრაობაში გავხურდი. ჩავიარეთ სოფლის თემშარის მონაკვეთი და ხუთ წუთში ბიძაჩვენის ეზოს ჭიშკრისკენ ჩამავალი დაღმართის, პირუტყვის ჩლიქებისგან გატკეპნილ ბილიკზე ჩავირბინეთ. ბიძაჩვენმა დაგვინახა და ხელით გვანიშნა, თუ საით უნდა წავსულიყავით. ეკლის მესერში ჩადგმული ხის კარი შევაღეთ და თხილნარში შევედით ფრთხილად. კურდღლის ნაფეხურები დასტყობოდა ფაფუკ თოვლს. კვალს გავყევით, რომელმაც ნაკვეთის პარალელური მხარის გარღვეულ, ჩამომპალ მესერთან მიგვიყვანა, რომლის ღრიჭოში გამძვრალიყო კურდღელი და ალბათ მისი ნაცრისფერი ბეწვები შერჩენოდა ეკლის სარს.

გადავხტით ღობეზე და ას მეტრში, ხევის პირას მდებარე ბებერი მსხლის ძირას დავინახეთ მსუქანი და ნაცრისფერი კურდღელი, რომელიც ხის მერქანს ღრღნიდა.

ეს მამალია უეჭველი, სამი კილო ხორცი გამოუვა, შორსაა, ახლოს მივეპაროთ და ვესროლოთ, - ჩურჩულით მითხრა. ჩავიცუცქეთ და დავაპირეთ მიპარვა, მაგრამ კურდღელი მოახლოვებულ საფრთხეს და მოწინააღმდეგის სუნს შორ მანძილზე გრძნობს, ამიტომ თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. ალბათ ხევში ჩახტაო, თქვა ნოდარმა, მსხლისაკენ წავედით. ხევში ბავშვის გულივით სუფთა და ანკარა წყარო მორაკრაკებდა, კურდღლის კვალი აღმართს აუყვა, ნახტომებს შორის დაშორება ერთი მეტრამდე იყო, რაც მის დაფრთხობაზე მეტყველებდა. ნოდარმა მითხრა, - ჩახმახი მომართე და მზათ იყაი სროლისთვის, რადგან კურდღელი შეიძლება ახლო მანძილიდანაც წამოგვიხტესო. მახვილი მზრით ვაკვირდებოდით, თხმელის მოტეხილ ტოტებს, დათოვლილ გვიმრებსა და ეკლის ბარდებს, ვარაუდმა გაამართლა, ჩირგვიდან უეცრად გამოხტა კურდღელი და გაკურცხლა აღმართში, თოფის გასროლის ხმაზე სოფელის მყუდრო მიდამო შეზანზარდა. დაფრთხნენ წიფლის, წაბლისა თუ თხმელის სურომოდებულ ტოტებში შეყუჩებული ფრინველები, ხეებიდან თოვლი ჩამოცვივდა. კურდღელი გაიქცა.

- ამის დედა ვატირე, ორივემ რაფერ ავაცილეთ, - თქვა იმედგაცრუებულმა და კვალს აჰყვა ჩქარი ტემპით. აზარტში შევედი, მაგრამ თხილამურებით სიარულს მიუჩვეველი, წამდაუწუმ ვეცემოდი და ვდგებოდი. ერთი თხილამურის თასმა გამიწყდა, რამაც უფრო გამიძნელა კურდღლის დევნა სქელ თოვლში. აღმართი არ დამთავრდა, ფეხებში ძალა გამომელია, მუხლები მომეკვეთა და ამიკანკალდა, ცხელმა ოფლმა დამასხა, ვსუნთქავდი გაყინულ ჰაერს, ყელი გამიშრა, ცოტა თოვლიც ვჭამე, თავიდან მესიამოვნა, მაგრამ ყელი გამეყინა. ხელთათმანები არ მეკეთა და გათოშილ თითებს ვერ ვგრძნობდი უკვე. ვერც კურდღელს დავეწიე და ვერც ნოდარის. ჩემთვის ვფიქრობდი, მგლის მუხლი აქვს ამ ტყიურს-მეთქი. უცებ ზემოდან მოისმა თოფის ორჯერ, მიჯრით გასროლის ხმა. ამასობაში სოფლის შარამდე ავბობღდი ვაივაგლახით, ჩემი ცალლულიანი თოფითა და ცალი თხილამურით. ვზივარ გზასთან დაწოლილ დიდ სიპ ქვასთან და რას ხედავს ჩემი თვალები, ზემოდან კურდღელი შურდულივით ჩამორბის ჩემი მიმართულებით, უკნიდან მოსდევს ნოდარი დამიზნებული თოფით.

- არ ისროლო, ბიჯო, აქ ვარ არ მიმასაფანტო, - დავუყვირე დაზაფრულმა. კურდღელმა გვერდზე გაუხვია და მიიმალა დათოვლილ ბუჩქებში. გულამოვარდნილი და გაცეცხლებული ქეშელ-ქეშელით ჩამოალაჯა ნოდარმა და გვერდზე მომიჯდა, შუბლზე ხვითქი ჩამოსდიოდა და ნესტოები ებერებოდა სუნთქვისას. ჯიბიდან თუთუნი ამოიღო, ზომაზე დაჭრილ ქაღალდში გაახვია და ასანთით მოუკიდა.

გავაბოლეთ.

- რაიყო ხოარ შეგეშინდა ბიჯო? მკითხა ღიმილით.

- შემეშინდა რა თქმა უნდა, რომ გესროლა, დამერხეოდა.

- ოთხი ნომერი მიდევს, ეს კურდღელს კლავს, შენ რაფერ მოგკლავდა?! - გაგვეცინა.

იმედგაცრუებულები, დაღლილ-დაქანცულები, ილაჯგაჭყვეტილები დავბრუნდით შინ. ოთხი ვაზნა შეეწირა მსუქან, ნაცრისფერ კურდღელს, რომელიც ჩვენი ნადავლი უნდა გამხდარიყო.

ნოდარიმ გალიიდან კარგად ჩასუქებული მამალი ბოცვერი გამოიყვანა.

- ეს მაინც მოვკლათ და გულს მეგიოხებთ, თქვა და ეზოში გაუშვა, დაცადა გაქცეულიყო, ბოცვერი ნელი ნახტომებით წავიდა უმისამართოდ, თოფი გავარდა, ცხოველი უსულოდ დაეცა ძირს. სევდიანად ბარდნიდა. ბიძაჩვენმა კურდღელი ჩამოატყავა, გამოშიგნა და თხილის კანგაცლილ ჯოხებზე წამოაცვა, ბუხარში შევწვით ეკლისხის ნაკვერჩხლებზე.

იმ საღამოს შემწვარ კურდღელზე და ჭურში დაძველებულ იზაბელას ღვინოზე ვიქეიფეთ, სადღეგრძელოები ვთქვით, მოლხენის შემდეგ დავწექით, ნაგაზის ყეფა სიჩუმეს ბზარავდა, ტკბილად ჩამეძინა.

მეორე დღეს წამოსვლა გადავწყვიტე ჩემს ცხენისწყლისპირა სოფელ ჩხენიშში, რადგან ორ დღეში თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი, უნივერსიტეტში სწავლა მეწყებოდა. სოფლის ავტობუსის ბოლო გაჩერება სოფელ თხილაგნიდან რვა კილომეტრში მდებარეობდა. ნოდარიმ მითხრა, მე მიგაცილებ ავტობუსამდეო. ჩემიანებს დავემშვიდობე და სოფლის ნობათით სავსე ჩანთითა და წითელი ღვინით სავსე ხუთლიტრიანი პლასტმასის „შტოფით“ გამოვუყევით სოფლის შარას. ორი საათი ვიარეთ თოვლიან გზაზე და ძლივს მივუსწარი სოფლის ცხვირიან ავტობუსს. ნოდარის ხელი ჩამოვართვი, მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

ნეტავ მცოდნოდა, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო, ერთს მაგრად ჩავეხუტებოდი, როგორც ძვირფას ადამიანს, როგორც ჩემს ძმას.

ჩამოვხრიგინდი ბარში ოღროჩოღრო გზაზე ჯაყჯაყით, ლაყლაყითა და ნჯღრევით. მეორე დღეს თბილისში წამოვედი.

ერთი თვის შემდეგ, ნაქირავები ბინის ძველ ოთახში ვზივარ და უინსტონ გრუმის "ფორესტ გამპის" ვკითხულობ. ჩემმა დამ დამირეკა, ტიროდა, აკანკალებული ხმით მითხრა: "ნოდარიმ თავი მოიკლაო". თავიდან ვერ დავიჯერე, ჯავრის გორგალი ყელში გამეჩხირა, ძლივს ვსუნთქავდი, ლამის გავიგუდე. სუიციდის მიზეზი მაინტერესებდა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა ამ ქცევის გამომწვევი მიზეზების შესახებ, რატომ? რისთვის? ღმერთმა უწყის...

მას შემდეგ წლები გავიდა, გამახსენდება ხოლმე ჩემი დედისერთა ბიძაშვილი, ჩემი ნოდარიკო და ჩემთვის, ჩუმად თვალები მიცრემლიანდება.

შეიძლება ადამიანი ვერასდროს ნახო, მაგრამ გამშვიდებდეს, განუგეშებდეს, კმაყოფლდებოდე იმ აზრით, რომ ის სადღაც სუნთქავს და ცოცხლობს, არის შესაძლებლობა მისი ნახვის, ხოლო სიკვდილის დროსაც ვერასდროს ნახულობ, მაგრამ ასეთ დროს ნახვის შესაძლებლობა არ არსებობს, რისი გააზრებაც ძალიან განაღვლიანებს ადამიანს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ზაზა მაღულარია

...და ვაი, ღვთიურ სინათლეს რომ ვერ მოესწარი...

(ზვიად გამსახურდის ხსოვნას)

შეხე შენს სახეს: — ჟამშეპარულს და ნაამაგარს,
სულის სარკეში დაყუდებულ სევდის ბარაკებს,
ოცნება შენი მზეჭაბუკის ზღაპარს წააგავს
და სინამდვილე სულხან-საბას იგავარაკებს...
შენ გაგივლია უსიერი ტევრი ცხოვრების
და ეკლიანი მარწუხები გხვევია ბარდის,
სიყვარულისთვის შეგიწირავს მსხვერპლად ყოველი,
თუმც სიყვარულის ნარიანი გხოკავდა ვარდი...
შენ უდაბნოში ამოსული იყავ ზამბახი
და საკმეველი სიკეთისა — შენის მირონით,
ვერ დაგეუფლა შეგონებით, ვერც სიახმახით,
ხელი მსახვრალი, უწმინდური, ვერაგ მიონის...
და უნაპირო სილაჟვარდე ეფინებოდა
ყოველ შენს ნაბიჯს ცხოვრებისას, ყოველ სტრიქონებს,
მაგრამ გზის კიდეს შემოეკრა „ყავრად თებო" და
დაუნდობელმა გრიგალებმა გადაგიქროლეს...
შენ ოცნებობდი სამშობლოზე ძლევამოსილზე: —
გსურდა გეხილა ცისკროვანი, როგორც ვერსალი,
თუმც რეალობას ზმანებანი სწრაფად მოსცილდნენ
და ვაი, ღვთიურ სინათლეს რომ ვერ მოესწარი...
... დღეები რბიან, ვით ტალღები კლდეთა ქიმიდან,
ყოველ ახალ დღეს რთავენ ცრემლად და იარებად,
მოგონებები ირევიან სიყმაწვილიდან,
გულში კი ისევ ოცნებები დაიარება...

/2008 წ./

ზვიად გამსახურდიას

წელი წელს მოსწყვეტს, ნაზ საყურეს და სიქალწულეს
მიუალერსებს, დაიპყრობს და ალაგს მოუცვლის...
ო, მომავალო, შენი სხივი შემომაწურე,
შემომაძარცვე სამოსელი ნორჩი მოხუცის.
მე ვარ წარსული —
მკაცრი სულის,
გაუშიფრავი
და ტანზე ცოდვის უხილავი მჩხვლეტენ ლურსმნები,
ვგრძნობ, როგორ მითრევს ღამეების ურჩი სიბრმავე,
მაგრამ ძაღლივით ვეტმასნები და ვილურსები...
სადაც არ უნდა ვიყო, იქ ვარ... რიტმს ვერ ავყევი,
ასე მგონია ლეშად ქცეულს კუპრში მმარხავენ,
ვერ გავახარე სიტკბოების ერთი ნამყენიც,
ვერც ათი მცნება შევიმეცნე, ვერც ვუარყავი...
სწორ-მეგობრები შემომაკლდნენ, გამინაპირდნენ,
ვალად დამედო სამდურავი მათი ურიცხვი,
ქორონიკონი თავს მევლება, როგორც ბანკირი
და მეც მტერ-მოყვრის უსათუთეს სიებს ვურიცხავ...
ო, მომავალო, რა რელსზე ხარ, რა მისამართზე,
რომ მოგეგებო და დაღლილი სული მოგანდო...
... შორს, სადღაც ნისლში გარინდულა ასი სამარხი
და ასივედან იმზირება ჩემი მყოფადი.....

/2016 წ./

ზვიად გამსახურდიას მონოლოგი

იყო... არა იყო რა... და ზღაპარიც დასრულდა...
არ დასცალდა გაფურჩქვნა მამულს, ტანჯვით დაოსილს...
სტოიციზმით აღვსილი ვეთხოვები წარსულს და
ვიძირები მომავლის უნაპირო ქაოსში...
რაც წმინდაა, იმას ვთმობ... (ვიცი, დამგმობს ჯვარცმული,
ვინაც რწმენა ჩამიდგა და ერისთვის მაცხოვრა...)
რადგან სული წარმტაცეს იმედშემოძარცვული
და ნათხოვარ იმედით რაღა ვარგო მაცხოვარს?!
დაცემულის გათელვა ძველთაგანი წესია,
დაცემულის ნუგეში კი რჩეულთა სასჯელი,
როცა კალაშნიკოვით სულში ტყვიას გესვრიან
უღიმღამო სიცოცხლეს აღარც უნდა დასჯერდე...
ოცნებებით დაჭრილი, უსახლკარო გზირი ვარ,
ჩემს ჯინაზე ღრუბლებმაც დარაბები დახურეს,
ანგელოზის მომტვრეულ ფრთებს ვიგლეჯ და ვტირივარ...
ხოლო ეშმა დოინჯით, ნიშნისგებით დამყურებს...
ყველაფერი ჩაცაკვდა... ყველაფერი დასრულდა...
სიმარტოვის სარკეში ღამე უღრენს თვის სახეს,
მალე ღმერთსაც განდევნის ჩემს ხსოვნიდან ავსული,
მიწას თუ არ დავეშვი, თუ არ გარდავისახე...
ცხოვრებიდან არარა არ იშლება მყისიერ,
დავიწყებით წარსულის არაფერი მთავრდება,
ყოველივე ახალი ძველის დასაწყისია,
ყოველივე ძველი კი ახალს უხმობს თავდებად.
ღმერთო, უკან გიბრუნებ ყალამსა და საჭრეთელს
და დაჩონჩხილ სამშობლოს გულთან ერთად გთავაზობ,
რომ მის დამზრალ ძარღვებში სისხლი კვლავაც აჩქეფდეს,
რომ კვლავ მედგრად გაისმას „საქართველოო ლამაზო... !"
თუკი ჩემი სიცოცხლე საკმარია სავსებით —
გამოფხიზლდეს მამული, განწირული რულისთვის,
ტრაგიკული არსებით
ვერტერს დავემსგავსები,
ოღონდ „ერთის" კი არა — ერის სიყვარულისთვის!
გთხოვ, ეს ძღვენი უფალო არა... არ იუარო...
მე ჩემს ყოფას ჩემთავად გამოვუტან განაჩენს,
რომ მამულის ხსოვნაში ერისკაცად თუ არა,
ერთ უბრალო, შეწირულ შვილად მაინც გადავრჩე...

/2016 წ./

ლიტერატურული გვერდი

პოეტსა და თეირეოსის შაჰნამეს მთარგმნელს ბელა შალვაშვილს 80 წელი შეუსრულდა

და მასთან ბრძოლა

ჰა, შემოდგომამ გამოფინა ჭრელაჭრულები,
დაუზარებლად გამოფინა უშქარი ფერი,
ამგვარად ჰფენენ სიბერეში გადასულები –
ქალები კაბებს, რომ სიბერეს დარიონ ხელი.
შემოდგომაა სიბერეში შესული ქალი,
გულისმომკვლელი სევდა ახლავს ორივე მათგანს,
ეგ არის, რაგინდ ფერადები იფარონ ფარად,
ერთი სიბერეს ვერ წაუვა, მეორე – ზამთარს.

***

მოდის სიბერე, ქვეყნად ყოფნის
დღეებს რომ გვითვლის
და მასთან ბრძოლა ველზე ქარის
დევნაა თითქმის.

ვერ დარჩებოდით

მომეჩვენა თუ... მეძახდით მართლა,
თუ მეძახოდით, აჰა, მოვედი, –
თანაც... ის დროა,საკუთარ თავთან
ვერ დარჩებოდით განმარტოებით.
ეს ის ჟამია, – ხანგრძლივი ბრძოლით
სითბომ სძლია და დაამხო ყინვა,
მოტყდა ზამთარი – ბებერი ლომი
და ენძელებმა დაიწყეს ბზინვა.
ეს ის ჟამია, როცა ნუშებმა
ჰაერს დაატყვეს ქათქათა ხნული...
როცა არ იცი, როგორ უშველო –
მთელის ძალით რომ მუშაობს გული.
ჰოდა, ცხადია, მიხმობდით მართლა,
მომიხმობდით და – კიდეც მოვედი...
ისეთი დროა, – საკუთარ თავთან
ვერ დარჩებოდით განმარტოებით.

ეს – ჩემი დარდი

ეს ჩემი დარდი წააგავს თქვენსას
და იმით არ ჰგავს, რომ ის ჩემია,
მას ჩემში მკვიდრად გაუდგამს ფესვი
და უმისობა არც მირჩევნია.
ის ჩემში იშვა, და თუკი იშვა,
ბუდობდეს უნდა ჩემსავე წიაღ...
მადლია დარდი, – დარდები მთიშავს
მას, რასაც ქვეყნად არყოფნა ჰქვია.

და ვერ ვპოულობ

მე ისევ ვეძებ სიტყვას, რომელიც
ყველაზე ცხადად, გარკვევით გეტყვის,
როგორ მიყვარხარ, როგორ მოგელი,
როგორ მძულხარ და რარიგად გეტრფი.
მე ისევ ვეძებ ერთადერთ სიტყვას,
რომლითაც უნდა შეიქნას ცხადი,
ის, რაც დუმილით მრავალგზის ითქვა,
რარიგ მიყვარდი და რარიგ მძაგდი.
ფოფინებს დილის უმწეო სხივი, –
ვიდრემდის მართლაც იქცევა სხივად,
სათქმელიც ასე ფოფინებს, ღვივის,
ვიდრემდე იტყვი, რარიგად გტკივა...
მე კი ერთადერთ სიტყვაზე ვწუხვარ,
რომლითაც უნდა გარკვევით გითხრა: –
მძულდი, მიყვარდი, მიყვარხარ, მძულხარ
და ვერ ვპოულობ საჭირო სიტყვას.

მეც რომ...

მაინც რამდენი წლის ხარ, ტეხურო,
ჯერ რომ სიდინჯე არ გეკარება,
რა ნახტომი გაქვს შმაგი, ვეფხვური,
რა ძეწნები გყავს აუარება.
ისე ხმიანობ, ისე ფრთიანობ,
მთელი ქვეყანა შენი გგონია...
ასე პატარა, ასე ზვიადი,
მე მირჩევნიხარ ათას გოლიათს.
და მაინც, ხანი რომ არ გეტყობა,
რამდენი წლის ხარ, ჩემო ტეხურო...
თუმცა რა, ხანი არ შემეტყობა,
მეც რომ ეგრისის ზეცა მეხუროს.

რჩება არაგვად

აქ ერთი წამით ვაკობს არაგვი
და აქ არაგვი არაგვს არა ჰგავს,
ნაკლებად მომწონს მე ეს ალაგი,
მართლა ნაკლებად მომწონს, არადა, –
გინდ აქ გინახავს არაგვი, გინდა
ლაღი ქორბუდა სადმე, ბარადა;
ერთი კი არის,
ჰგავს თუ არა ჰგავს,
არაგვი მაინც რჩება არაგვად.

პასუხი ისტორიკოსებს

ყოფილი ალექსანდროვის ბაღის ქვედა ზონაში, მიხაი ზიჩის ძეგლის გასწვრივ მდებარე გაზონში ამ მარმარილოს ქვამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ქვა არცთუ ძველი დადებული ჩანს, ხოლო ორენოვანი წარწერა კი იუწყება: "სამოქალაქო ომის გმირი ლუკიან მალანჩის ძე თაბუკაშვილი (1890-1921)". სურათები გადავიღე და შინ მისვლისთანავე "გუგლში" დავიწყე ძიება "გმირის" ვინაობის დასადგენად. ინტერნეტსაიტზე "საქართველოს ოკუპაცია 25-27 თებერვალი" რეპრესირებულთა რიგში 95. ვკითხულობთ: "ლუკიანე თაბუკაშვილი (1890 – 1921) აქტიურ მონაწილეობას იღებდა ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, 1919 წელს დაინიშნა XII არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს რწმუნებულად, 1889-1921 წ.წ.სახელმწიფო მრჩეველი.1921 წლის 21 თებერვალს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და მოღალატეობრივი საქმიანობისთვის დახვრეტილ იქნა .

ლუკიანე თაბუკაშვილი - მე-12 არმიის საბჭოს რწმუნებული, რკინიგზაზე სამხედრო რევკომის წევრი, ჯავშნოსანი მატარებლის "კოროსტენელი კომუნისტის" აღმდგენელი, სამოქალაქო ომის გმირი (1918-1920), მენშევიკებმა მოკლეს ყვირილას ციხეში.

საიტი city.kvira.ge/2018/10/12/ კიდევ უფრო ავსებს ინფორმაციას თაბუკაშვილზე: "ალექსანდრეს ბაღში 1921 წლის 4 მარტს აქ სახელდახელოდ გათხრილ საძმო საფლავში დაკრძალეს ტფილისისათვის ბრძოლაში დაღუპული ქართული არმიისა და მე-11 წითელი არმიის 42 მებრძოლი. ერთი თვის თავზე ქუთაისიდან გადმოასვენეს და ისევ ალექსანდრეს ბაღში დაკრძალეს ცნობილი ბოლშევიკი, საველე მეთაური, უკრაინაში პეტლიურას ჯარების წინააღმდეგ ბრძოლით სახელგანთქმული ლუკიანე თაბუკაშვილი, რომელიც, როგორც ირკვევა, თბილისიდან უკან დახევისას „მენშევიკებმა“ ზესტაფონის საპატიმროში დახვრიტეს. დღეისათვის ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკთა ნაკვალევი თითქმის წაშლილია. ლუკიანე თაბუკაშვილის საფლავის ქვა ბოლო წლებში რამდენჯერმე გადააადგილეს და ბოლოს დაიკარგა". ხოლო ვიკიპედიაში კი წერია, რომ ლუკიანე თაბუკაშვილი იყო რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე.

დაკარგული საფლავის ქვა, როგორც სჩანს მისმა შთამომავლებმა, მერიასთან შეთანხმებით აღადგინეს და იგი ახლა ამ სახითაა დავანებული ყოფილ ალექსანდროვის ბაღში.

იქნებ ისტორიკოსებმა უფრო ზუსტი და სრული ინფორმაცია დადონ ალექსანდროვის ბაღში დაკრძალულ სხვა დაღუპულებზე და დააზუსტონ რომელი "სამოქალაქო ომის გმირები" იყვნენ მებრძოლები?... (რედ.).

სად გაქრა ოკუპაციის მუზეუმი?

2006 წლის 26 მაისს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რუსთაველის გამზირზე მდებარე სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის მესამე სართულზე გახსნა ოკუპაციის მუზეუმი. მუზეუმის გახსნა იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და პოლიტიკური ჟესტი, სწორედ ისტორიულ თარიღზე დამთხვევით, რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისადმი ღია მინიშნებით. მუზეუმის შენობის მთავარი კარის ფასადზე გაიკრა ბანერი შესაბამისი ნიშანდობლივი ისტორიული თარიღებით - 1921 – 1991. მუზეუმში სტუმრობა შედიოდა „პროტოკოლში“ ყველა სახელმწიფოს პრეზიდენტებისა, რომლებიც ხშირი ვიზიტებით ჩამოდიოდნენ მაშინ (ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის...) საქართველოში.

2012 წლიდან, ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში, უმაღლეს პირთა ვიზიტები საქართველოში თითქმის შეწყდა. ივანიშვილს, დედაქალაქის ცენტრში, თვით სამთავრობო რეზიდენციების წინ, ოკუპაციის მუზეუმის არსებობა დიდ უხერხულობას უქმნიდა რუსეთის წინაშე, როგორც რუსეთის ემისარს საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში. და მან, მალევე სცადა მუზეუმის შენობიდან ოკუპაციის ხმაურიანი ბანერის ჩამოხსნა, რასაც პროგრესული საზოგადოების პროტესტები მოჰყვა. რამდენიმე ამგვარმა მცდელობამ, ხელისუფლების მხრიდან უშედეგოდ ჩაიარა. მხოლოდ უკანასკნელი წლების წინ შეძლო ივანიშვილმა ბანერის უხმაუროდ ჩამოხსნა მუზეუმის სარემონტო სამუშაოების წარმართვის ფარგლებში, მუზეუმს ძეგლის სტატუსის მქონე ძველი მასიური კარები შეუცვალა და იგი უსახური მინის კარებით ჩაანაცვლა(იხ. ფოტოები).

ივანიშვილის რჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მხედველობიდან არ გამოპარვია მისი ხრიკები და „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“, 2018 წლის 25 თებერვალს (თარიღის დამთხვევით) ახლა თავად გახსნა. ივანიშვილსა და მარგველაშვილს შორის გაჩენილი ბზარი მატულობდა, მაგრამ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ვერაფერს მოუხერხებდა მას. თავისი მარიონეტი პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის არჩევის შემდგომ, ივანიშვილმა, თვით შენობის შიგნითაც არსებულ ოკუპაციის მუზეუმს ფუნქცია დაუკარგა და შენობის ფასადიდან გამქრალი ბანერიც, რატომღაც მხედველობის გარეშე დარჩა საზოგადოებას.

ქეთევან ჭანტურია

პიროვნების რაგვარობის საკითხი

დასაწყისი გვ. 8

თვის, რაც ადამიანობას განაღმრთობს. აქვე, ალუდას უჩვეულო ფრაზაც გავიხსენოთ -"ლამაზი ძმისთვინა." ლამაზი ადამიანის ცნება შემოდის. სილამაზეა ღირსება, უმთავრესად ეს შვენის ადამიანს, ურთიერთობათა ხაზიც ეს არის - მშვენიერება, ლამაზი არსებობა, უხინჯო, სრული. უპირველესად, ადამიანობა ითხოვს დააფასოს ეს!

ამოსავალი წერტილი რა არის, რას უნდა ეფუძნებოდეს ადამიანობა, ცხოვრება? რას სცემს პასუხს შენი არსებობა?

ბოლოდროს სულ უფრო მეტად საუბრობენ საზოგადოებაში სხვადასხვა საჭირო ნორმების დაკარგვაზე. წერენ ე. წ. "ვულგარიზმზე", "კონფორმიზმზე", რაც ბღალავს ზნეობას, ხელოვნების ნაცვლად -"პოპ კულტურაზე" (მასკულტურაზე) და სხვ. მაგრამ ეს პროცესი შეუჩერებელი ხდება.

ნიკო ლორთქიფანიძის "შელოცვა რადიოთი" თანამედროვე სამყაროს სულისკვეთების გაგებასაც მოიცავს და ფასეულობათა შეჯახების, დაპირისპირების ჩვენებაცაა. ამის უბადლო ნიმუშია ის დიალოგებიც, რაც განსხვავებულ თვალსაწიერს კვეთს... ფულზე ორიენტირებულ გარემოში არ არის გადარჩენა და ამის მაგალითია -ელი, რომელიც ამგვარი გარემოს მსხვერპლია. რით ითქვამს სულს? სად იოხებს ძველი დროის მონატრებას? ამ სივრცეშიც ახერხებს ჰექსლეისა და ბრომლეის სამყაროსთან დაშორებას და თავის შენარჩუნებას, წუთიერ გაქცევას და თვითაღდგენას. ადამიანით მანიპულირება ჩვეული წესია და გასრესა ემუქრება ადამიანს, ამას აღწევს თავს რამინო, ელი... ასეთ სამყაროში ერთგულება არ ფასობს.. ელის ცეკვაც თავისუფლებისკენ ერთი დიდი სწრაფვაა. მას არ უნდა წყალობასავით მიიღოს სამშობლოში დაბრუნება, ამის რეალურად მოპოვება სურს, ნებისმიერი საფრთხის ფასად, დამსახურებულად მიღება. ეს პროტესტია, თავგანწირვა, რითაც მისი ადამიანობა შენარჩუნებულია, გამოსყიდულია.

სულიერი დაცლა ყველაზე საშიშ ფაქტორადაა გამოცხადებული. თუ რაღაც ინგრევა, თუ რაღაც არ ეწყობა, არ გამოდის, რამდენად ხარ ბრალეული ამაში? ფული სულის ადგილს ვერ ავსებს. საინტერესოა ჰიუგოს მოსაზრება ფულზე, როცა ის ყველაფრის საშუალება ხდება და თვით ადამიანზე მაღლა დგება, როცა ირგვლივ ყველაფერს ცვლის არასასიკეთოდ : '"დღეს მხოლოდ ფულში არის დიდება! საქმედ ის მიაჩნიათ, რაც ფულს შესძენთ... გარეგნულად ბრწყინვალეა დღეს ადამიანი ... და იმავე დროს ისეთი ბინძურება უდევთ სინდისის წილ... თუ დროსაც უნდა ჰქონდეს თავისი დევიზი, ორ სიტყვას ვიხმარდი ჩვენი დროის დევიზად - ბინძური სისუფთავე!... თაღლითი ბრწყინვალება, რომელსაც ადამიანური არა გააჩნია რა... იგივეა, ფერუმარილი წაუსვით წუმპესო."

მწერლობა ადამიანს აღდგენას სთავაზობს, გავიმეორებ ზემოთთქმულს, ტკივილში არ რჩებიან, ტკივილიდან გამოდიან! რჩები იმგვარ მდგომარეობაში, რაც არაფერს ცვლის (მოტირალი და მოცინარივით) თუ პოულობ ძალას ეს შეცვალო... მწერალი ყველას ნაცვლად დებს გამოსავალს. სიყვარული კი ნიჭია... სიცოცხლე, ცხოვრებაც და ადამიანობაც თავდაუზოგავ სიყვარულს ითხოვს იმდენად, რამდენადაც არ გააუფასურებ მას! ესაა მაღალნიშნული.

ადამიანურ ძალას ყველაფერი შეუძლია; დაქვეითება არ შეიძლება. გაჭახრაკებული ცხოვრება რაღა სიცოცხლეა. გარემომ კი არ უნდა დაიქვემდებაროს ადამიანი, ადამიანმა უნდა დაიმორჩილოს გარემოებანი სწორედ ამ ადამიანური ძალის მეშვეობით, საკუთარი ადამიანობის სიმაღლის განცდით. დადიანის ასულის წინაშე მათხოვარი რასაც მოიმოქმედებს, (ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში - "დადიანის ასული და მათხოვარი"), ეს ღირსების ცხადი გამოხატულებაა და დაბრუნება საკუთარ თავთან. დაჯერებაა იმისა, რომ ადამიანი ყველაფერზე მეტია, მიუხედავად იმისა, ბედი რას მიაკუთვნებს მას და რა ადგილს მიუჩენს. თავად ადამიანია ყველაფერზე მაღლა მდგომი და ამ ჭეშმარიტებას მიაგნო მან. არარაობიდან ყველაფრამდე განივრცო. "არცრა ტანთ მცვია, არც ფეხთა... მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა" - ვაჟასეული ეს განცდაა აქაც. "საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი."(ვაჟა). აი, სად არის ადამიანური ძალისხმევა. ეს არის მწვერვალიც. უპირობო სიკეთეც ესაა. ადამიანის შინაგანობა, მისი სულიერი მნიშვნელობა და სულიერი ძალმოსილება იყო და იქნება მთავარი. ადამიანი როგორც პატივისცემის უპირობო საგანი, რომლის აბუჩად აგდების უფლებაც არავის აქვს. არავინ არაა ჩვეულებრივი არსება. ადამიანი თავისთავადაა უჩვეულო. ეს ცხადყო მათხოვრის შემთხვევამ, ეს ცხადყო ვაჟამ. თავად თუ არ დათმე და გააუკუღმართე ეს, სხვა ვერაფერს დაგაკლებს და შენ უნდა იყო ამ სიმაღლეზე საკუთარი რაობით.

ადამიანი უნდა ეპატრონოს თავს და მოერიოს, აჯობოს გარემოებებს. მას ამის შესაძლებლობა აქვს, თუკი მოინდომებს. რაზე ხარ აღმატებული - ესეც არჩევანია.

უიშვიათესია სიმძაფრით, ადამიანური სათქმელით ილიასეული დედაკაცის მაგალითი ("კაცია-ადამიანის?!" დასასრულს), როგორ არ შეიძლება მოიქცე, რა არის უმოწყალო, სიყვარული კი ტკივილიცაა და პასუხისმგებლობაც. ორ ნაწილად წარმოჩენილი საზოგადოება რას იქმს, რას გამოხატავს, როცა საბრალო ქალია მათ წინაშე. ვინ ვინ შეიძლება იყოს, მწერლობა ამის ახსნა თუ შეხსენებაცაა...რა ხდება ასეთ დროს თუ ყველაფერი რიგზე არაა და ორ ნაწილად გაყოფილი საზოგადოებაც შემდეგნაირად ხასიათდება: თვალით და გონით მხედველი. ერთნი, თვალს ართობენ და იცინიან, როცა გონებას ძნელად თუ გაეცინება. ბედკრული ადამიანის ხილვა სულერთი არ უნდა იყოს და ის მაინც უნდა გახსოვდეს კიდევ ვინმეს არ დაემართოს ასე, არამცთუ თავს გაცინების უფლება მისცე. სხვისი ტკივილით მოგვრილი ცრემლი სათნოებაა. სიცილი ასეთ დროს ტოლფასია ცოდვის, ცრემლი კი ცოდვას გადაფარავს და მადლს შობს. ყველაფერი ურთიერთვალდებულებაზე მიგვითითებს. ურთიერთგაზიარებული სამყარო თანადგომით და სიკეთით გაძლიერებული - ეს არის მწერლის იდეალი. ჯანსაღი საზოგადოების პირობა რა არის? - სიყვარული!.. ადამიანით თავშექცევა-გართობა არ შეიძლება, მისი მიღება შეიძლება მხოლოდ და მისი მდგომარეობის გაშინაგნება, გათავისება!.. მასში შენს სახეს რამდენად ხედავ, მაშინ გაქვს უფლება რაიმე დამოკიდებულების გამოხატვის.

ადამიანი ჯეროვნად უნდა პასუხობდეს ყველანაირ გამოწვევას თუ სირთულეს. ზოგჯერ ის გვერდს ვერ უვლის შეუსაბამობებს. სწორედ აქ არ უნდა უღალატოს თავს და არ უნდა გასცდეს ადამიანობის ნიშნულს. მხოლოდ სარჩო-საბადებელზე ზრუნვა როგორ ბედკრულს ხდის ადამიანს, მხოლოდ ამაზე დამოკიდებულება, ეს დავით კლდიაშვილთან ყველაზე უკეთ ცნაურდება. პლატონისგან ცხენის ცემის მაგალითიც კი კმარა. ცხენი ცემა და გაცუდდა კაცი. შეიბღალა. გაცამტვერდა როგორც ადამიანი. გარემოებამ სძლია მას. რჩენას თავი გადააყოლეს. რაოდენ მრავლისმეტყველი შტრიხია. ამ დროს დაკნინდა იგი. სიბრაზემ გასცა, რომ ის აღარ იყო ადამიანი. მკვლელად ამ საზარელი მომენტიდან იქცა, მნიშვნელობა აღარც ჰქონდა ნამდვილად როდის აღასრულებდა ამას. ხელი ცხენზე კი არა, ადამიანობაზე აღმართა. როგორი შემზარავი სურათია. კაპასი დრო, შემოტეული როგორ ხელყოფს ადამიანობას, ადამიანურ ჩვევებს- სიბრალულს, თანადგომას თანალმობას, როცა მერე მამაც გაიმეტა, უმწეო ქალიც და პატარა ძმაც.

ყოფა არც სატირალი ყოფილა და არც საცინარი, ყოფა მოქმედება ყოფილა. თუკი მოერევი იმ მორევს, რომელიც ქვემოთ გითრევს და ზემოდან მოექცევი; ნუ ჩაჰყვები უღონოდ, ხელგამოუღებლად, იშორე ეს და ნახე ის ადგილი, რომელიც შენი სარგოა, რომლიდანაც სხვაც გამჩნევს როგორც ადამიანს, ამას ამბობს ყველა მწერალი, ურმის გადაუბრუნებლად ნაჩვენები გზაა ეს, რომელიც არ უნდა დაკარგო. მწერალს გამოსავალი ნაპოვნი აქვს, მთავარია ყველასთვის ერთნაირად ღირებული იყოს ის.

წმ. მამები ამბობენ -ბედნიერებაზე მაღლა ნეტარებააო. სწორი მიდგომა ადამიანს ყველაფერს აღმოაჩენინებს. ბედნიერებას ხელს არასწორი დამოკიდებულებები უშლის. რეალობის ჭრილში და შესაბამისად დაინახო ყველაფერი, მაგრამ იმოქმედო ადამიანობის შესატყვისად, ამით შეგაქვს შესწორება არსებობაში და ეს წარმართავს სამომავლო, სახვალიო ხაზს. დღეს, რაცაა მცირე, რომ ხვალ დიდად იქცეს, განივრცოს.

მწერლობა გვესაუბრება იმ ცხოვრების საჭიროებებზე, რომელიც აუცილებელია; ამის გარეშე სიცოცხლე დამშვენებულად, როგორც წესია და წელგამართული ვერ იქნება. მხოლოდ ძლიერ საზოგადოებას შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს. ცხოვრება თავის ნიშნულს უნდა დაუბრუნდეს, თავის სიმაღლეზე უნდა ავიდეს.

ვინც ვიყავით, როგორც ვიყავით, მთავარი იყო ადამიანის კლასიკური გაგება. ლიტერატურა, ხელოვნება - ყველაფერი ემსახურებოდა ადამიანობის ფასს, მოფრთხილებას, ადამიანობის არდაკარგვას. აქ მოხდა დაუშვებელი შეცდომები, როცა ამის განქიქება, ირონიზება დაიწყო ე. წ. "შოუებსა" თუ "პოპ კულტურით"... ეს სრულიად საპირისპიროა ადამიანის კეთილშობილების იდეისა (ცუდიც ხდებოდა, მაგრამ ის ცუდი კარგით იყო გადაფარული და წამლეკავი ძალა არ ჰქონდა, გადამძლეი არ იყო). ზე - ეს ისე დაქვეითდა ვერც კი მივხვდით როდის რა გამოგვრჩა... ადამიანის პატივისცემა იყო ნორმა და არა სათუო და სააბუჩო რამ... სიცოცხლის, კულტურის ღირებულება ადამიანის ღირებულებით იყო შენარჩუნებული. დაეკარგა თუ არა ფასი ადამიანს, მასთან ერთად გაუფასურდა ეს ყოველივეც. ფულისთვის ადამიანობის ხარისხს სულ არ ენიჭება მნიშვნელობა, ამ დანარჩენისთვის კი ხარისხია მთავარი. ვერ ნარჩუნდება ადამიანი ვერ ნარჩუნდება სიცოცხლე, კულტურა, ურთიერთობა... ეს - კლასიკური ღირებულება იყო მთავარი, როგორც არ უნდა ეხიმანდრა დროს. ეს კი რამ უნდა შეგიცვალოს, წარმოუდგენელია. სიცოცხლის ხალისიც ამაში იყო, ამგვარ დამოკიდებულებებში...

ლალი ბარძიმაშვილი

8 თებერვალი, 2020.

მვიად გამსახურდიას ანდერძი და წილის გარეშე დატოვებული მანანა არჩვაძე

მას შემდგომ, რაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შუათანა ვაჟიშვილს ცოტნე გამსახურდიას, მის საცხოვრებელ სახლთან (გალის ქუჩა), 2019 წლის 19 დეკემბერს, ჯგუფურად დაესხნენ და თავისა და გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, არაოფიციალურად კანტი-კუნტად გაისმა ხმები ზვიად გამსახურდიას მიერ „კოლხურ კოშკზე“ დაწერილი ანდერძის შესახებ. თუმცა, ამაზე ქვემოთ, მანამდე კი თავდამსხმელებზე, რომლებიც 20-21 დეკემბერს დააკავეს.

დაკავებულ ხუთ პირთაგან, ერთი ცოტნეს ბავშვობის მეგობარი და მეზობელი პეტრე ყუფარაძე აღმოჩნდა, რომლის განმარტებითა და მეზობლების მტკიცებითაც, იგი მხოლოდ შეესწრო ცოტნეზე თავდასხმის ფაქტს და მხოლოდ აშველებდა მათ ცოტნეს სასარგებლოდ. დაკავებულ პირთა ასაკი 1990, 1991, 1982 წლებს შორის მერყეობს, ხოლო მეხუთე პირი თორნიკე ქვათაძე კი 1973 წელსაა დაბადებული და მხოლოდ „დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით“ იყო დაკავებული; იგი, ბრალის აღიარების შემდგომ, სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. დაკავებულები კი არიან: პეტრე ყუფარაძე, გიორგი სოლოღაშვილი, კახა ჩხეტიანი და ტატო ღარიბაშვილი, რომლებიც დანაშაულის მიზეზად სუფრაზე წარმოშობილ კონფლიქტს ასახელებენ, რისი დადასტურების ან უარყოფის შესაძლებლობას, ცოტნე (მძიმე მდგომარეობის გამო), ამ დრომდე სრულიად



ა ნ დ ე რ ძ ი

ქ.ფთიღისი, აფასეფრაას ოფხმოვდა რვა წლის "ფ5" მარტი.

მე, ზვიადი კონსტანტინეს ძე გამსახურდია მცხ. ქ.ფთიღისი, გაღის ქ.№ 19-ში ან ანდერძი ვიძღვანი შემდეგ განკარგულებას:

1. მთელ ჩემს ქონებას, რომელიც ჩემი გარდავალების დროისათვის აღმოჩნდება ჩემი კუთვნილი, რისგანაც უნდა შეიგებოდეს და სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ასეთი თან ერთის სახლს მდებარეს ქ.ფთიღისში გაღის ქ.№19-ში და აგარაკს მდებარეს ბაკურის რაიონის სოფელ ღიძვანში ნოზაღის ქ.№17-ში ვუანდერძებ დანაბარ წილად ჩემს შვილებს: ვიოლეტ ზვიადის ძე გამსახურდიას მცხ. ქ.ფთიღისში გაღის ქ.№19-ში და გიორგი ზვიადის ძე გამსახურდიას მცხ. ქ.ფთიღისში გაღის ქ.№19-ში.

2. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 545-547 მუხლების შინაარსი ჩემთვის ნოტარიუსის მიერ განმარტებულია.

3. ეს ანდერძი შედგენილია და ჩემს მიერ ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ.ფთიღისის მე-5 სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში, ხოლო მეორე ეძლევა მოანდერძე ზვიადი კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.

1. ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია

1988 წლის "ფ5" მარტს ეს ანდერძი დავამოწმე მე ქ.ფთიღისის მე-5 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსმა გ.ა.კუბაღეიშვილმა ანდერძი ხელმოწერილია მოანდერძის - ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას მიერ საკუთარი ხელით ჩემი დანდასწრებით. ანდერძის დამოწმების პირადობა და ქმედუნაკლობა შემოწმებულია.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი - ერთი მანეთი
ტექნიკური - ერთი მანეთი

სარეგ. № 1-544

სახელმწიფო ნოტარიუსი: /გ.ა.კუბაღეიშვილი/

მოკლებულია. ცოტნეს უფროსი ძმა კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდია კი, თავდასხმის პოლიტიკურ მოტივს არ გამორიცხავს (მიუხედავად იმისა, რომ ცოტნე საკაკაშვილის პრეზიდენტობის დროს პოლიტპატიმარი იყო და ციხიდან დაინვალიდებული გამოვიდა, ამჟამად საკაკაშვილის მომხრედ და ივანიშვილის ხელისუფლების ოპოზიციონერად მოიაზრება). 2020 წლის 11 სექტემბერს, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეზე დაკავებულ ტატო ღარიბაშვილსა და გიორგი სოლოღაშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ხოლო, დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ პეტრე ყუფარაძეს 4 წლით, ხოლო, კახა ჩხეტიანს 5 წლით აღეკვეთათ თავისუფლება, რასაც ყუფარაძისა და ჩხეტიანის მშობლები გულმტკივნეულად განიცდიან. ყუფარაძის დედა ჩაერთო პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტულ სადღეღამისო აქციაში „შემახე ამინისტია“, მაგრამ პატიმრების მშობლების მოთხოვნასა და არც მთავრობაში შეგზავნილ პეტიციაზე, არავითარი საიმედო გამოხმაურება არ ჩანს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე პოლონეთში გიორგი გამსახურდიამ ძმის, ცოტნეს დაჭრასა და მკურნალობასთან დაკავშირებით „ტვიტერში“ დაწერა:

„მოგესალმებით მეგობრებო, მადლობა ყველას გვერდში დგომისთვის, რამდენადაც ცნობილია თურქი ექიმებისაგან, ცოტნეს მდგომარეობა სტაბილურია და იმედის მომცემი. აქვე, მინდა გაგაცნოთ ჩემი პატარა განცხადება, რომელსაც ვტვირთავ ფაილის სახით. ჩემი ძმა, ცოტნე გამსახურდია თბილისში ადგილობრივი სამედიცინო მუშაკებისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ადგილზე ამოწურული შესაძლებლობების შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, სპეციალური თვითმფრინავით გადაყვანილ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთ ცნობილ და ძლიერ კლინიკაში მკურნალობის გასაგრძელებლად. დაინტერესებულმა პირებმა რომ იცოდნენ, ყველა საჭირო პროცედურა შესრულებული იქნა ქართული სახელმწიფოს მიერ. შემდეგში, თურქეთში გამგზავრება და თურქეთში მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაჭრილ იქნა ფონდი „ქართუს“ მიერ (ბიძინა ივანიშვილის მფლობელობაში არსებული ბანკი - ლ.ც.).

აღნიშნულთან დაკავშირებით, ოჯახის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილს და პრემიერ გიორგი გახარიას (რომელთანაც ახლო და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს). ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, შსს-სა და სუს-ის ხელმძღვანელობას, ჯანდაცვის სამინისტროს და ამ პროცესში ჩართულ ყველა პირს (ვამაყობ, რომ ამ პროცესში ჩართული პირების დიდი ნაწილი ჩემი უახლოესი მეგობარია).

სასიკვდილოდ დაჭრილ-გამეტებული ცოტნეს მდგომარეობა, თურქეთის კლინიკაში მცირედით გაუმჯობესდა - კონტაქტური გახდა, თუმცა გამოჯანმრთელებამდე მას, სამწუხაროდ, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება. თურქეთის კლინიკაში ცოტნეს მეურვე-მხარდამჭერის სტატუსის მინიჭების თაობაზე გაიმართა ცილობა დედა - მანანა არჩვაძისა და ცოტნეს არაოფიციალურ მეუღლე ანა ჯაბაურს შორის. საბოლოოდ, სასამართლომ მხარდაჭერის სტატუსი ანა ჯაბაურს მიანიჭა, რაც ცოტნეს მიმიკრიულად გამოხატული

სურვილით იყო განპირობებული. თურქეთის კლინიკიდან, ცოტნე საიოპერაციოდ, თვითმფრინავით გერმანიის ერთერთ წამყვან კლინიკაში, სადაც გაუკეთდა მრავალმხრივი ოპერაცია. სექტემბრის თვეში ანა ჯაბაურმა ინტერნეტში უკვე გაავრცელა ცოტნეს რეაბილიტირებული ფოტოები. ყველა ხარჯები კი კვლავ ივანიშვილის ბანკი „ქართუდან“ ფინანსდება.

ახლა კი იმ „ანდერძის“ შესახებ, რომელიც ზვიად გამსახურდიას, ჯერ კიდევ 1988 წელს დაუწერია.

ნოტარიუსის გ. კუხალეიშვილის მიერ შედგენილი და ზვიადის მიერ დამოწმებული „ანდერძი“ 1988 წლის 5 მარტითაა დათარიღებული, რომლის გაცნობის უფლება, რა თქმა უნდა, არც ჩვენ მოგვეცა დოკუმენტის კონფინდეციალობის გამო (ცნობისათვის: ნებისმიერი „ანდერძი“ კონფინდენციალურია და მისი დოკუმენტურად გაცნობის უფლება ენიჭება მხოლოდ „ანდერძში“ მოხსენიებულ პირს - პირებს). ნოტარიუსი გ. კუხალეიშვილი კი ნოტარიუსად აღარ ფუნქციონირებს (ან, ასაკის ან, გარდაცვალების გამო).

ჩვენი ინტერესი „ანდერძისადმი“ მოტივირებული იყო, როგორც ეროვნული მოძრაობის გაზეთის რედაქტორისა და ზვიად გამსახურდიას მკვლევარის საჭიროებით. აგრეთვე, „კოლხური კოშკის“, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისადმი მიმართებით; ამადაც, „ანდერძის“ არსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩვენ განცხადებით მივმართეთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რომელმაც მხოლოდ წერილობითი პასუხით დაგვიდასტურა, რომ „ანდერძების ერთიან ელექტრონულ რეესტრში რეგისტრირებულია ჩანაწერი ზვიად გამსახურდიას სახელით დამოწმებული ანდერძის თაობაზე, კერძოდ: 1988 წლის 05 მარტს ნოტარიუს გ. კუხალეიშვილის მიერ ზვიადი გამსახურდიას სახელით დამოწმებულია ანდერძი“. ამრიგად, ზვიადის „ანდერძის“ დოკუმენტური წყარო ჩვენ ოფიციალურად ვერ მოვიპოვეთ. გაზეთმა „ალიამ“ კი, სჩანს, რომ არაოფიციალურად მოიპოვა იგი და ალბათ, ოჯახის მხრიდან შესაძლო სამართლებრივი დავის შემთხვევასაც (ვგულისხმობ დოკუმენტების კონფიდენციალობას) არ გამორიცხავენ. ეს კი გაზეთ „ალიას“ მიერ მოპოვებული ანდერძის დედანია, რომელიც უკანა მხარეს დადასტურებულია შტამპით.

როგორც საზოგადოების ნაწილისათვის ცნობილია საქალაქო სასამართლოში წლებია მიმდინარეობს დავები ქალბატონ მანანასა და ცოტნე გამსახურდია შორის, რაც თავად ცოტნე გამსახურდიამ გაასაჯაროვა ინტერნეტ ქსელით. ამ დავების შემადგენელი, ქონებრივი საკითხიც იყო, რაზეც თავად ცოტნეც საუბრობს თავის მეტისმეტად მძიმედ წასაკითხ სტატიაში: „...დღეს მანანა არჩვაძე უკვე მერამდენედ სასამართლოში მიჩივის, ყველანაირი ხერხით ცდილობს მამაჩემის დანატოვარი თუ ჩემს მიერ შეძენილი ქონების მითვისებას და ამავე დროს, აქტიურად საუბრობს "ოჯახის სახელით". გიორგი გამსახურდიას მან უკვე გადააფორმებინა საკუთარ სახელზე მისი წილი "კოლხურ კოშკში"... გამსახურდიების ოჯახი აღარ არსებობს!“

(წყარო: http://www.newposts.ge/?id=52171).

„კოლხურ კოშკში“ ცოტნე გამსახურდია ანა ჯაბაურთან ერთად რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა 2019 წლის 19 დეკემბრამდე, ხოლო მანანა არჩვაძე კი, ხან მშობლების სახლში, ხან წყნეთის აგარაკზე აგრძელებდა ცხოვრებას. რამოდენიმე თვის წინ კი მანანა არჩვაძე საცხოვრებლად გადავიდა „კოლხურ კოშკში“ და დაეპატრონა მას. არავინ იცის, ცოტნეს გამოჯანმრთელებისა და დაბრუნების შედგომ, როგორ წარიმართება მათი ურთიერთობა. მანანა, ცოტნეს ცოლად არ ცნობს ანა ჯაბაურს და ცოტნესთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს. ქალბატონი მანანა, სავარაუდოდ, „კოლხურ კოშკზე“ განაცხადებს პრეტენზიას უმცროსი შვილის გიორგისგან გამოძალული წილით...

ზვიადის მიერ 1988 წელს შედგენილ ანდერძში „კოლხური კოშკის“ მფლობელებად მოხსენიებული არიან მხოლოდ ცოტნე და გიორგი. ჩვენთვის უცნობია 1988 წელს მანანა არჩვაძემ იცოდა თუ არა ზვიადის ანდერძის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ არ სცოდნოდა და ზვიადს ერთპიროვნულად გამოეყენებინა თავისი დისკრეციული უფლება ანდერძის შედგენაზე და მანანას სულაც ძალზე დიდი დაგვიანებით შეეტყო მისი შინაარსი. ეს მხოლოდ ვარაუდებია და მხოლოდ მოვლენების ჯაჭვს, რომელიც განვითარდა ზვიადის გარდაცვალების შემდგომ, შეიძლება მივყავდეთ ამგვარი ვარაუდებისაკენ.

ზვიადის „ანდერძში“ წილის გარეშე დატოვებულ მანანა არჩვაძისთვის, რომელმაც თავის უმცროს შვილს, გიორგის ზეწოლით დაათმობინა „კოლხური კოშკის“ წილი, არ აღმოჩნდა საკმარისი „კოლხური კოშკის“ სრულუფლებიან დედოფლად ქცევისათვის.

ბუნებრივად დაისმის კითხვა, რატომ დატოვა წილის გარეშე ზვიადმა თავისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია? კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია, ზვიადმა უზრუნველყო სამოთახიანი ბინით მარჯანიშვილზე 90-იან წლებში, თუმცა, რამდენიმე წლის წინ მას იმ საცხოვრისის დატოვება და დათმობაც მოუწია...

ხოლო, ზვიადის მხრიდან მანანა არჩვაძის „კოლხური კოშკის“ წილის გარეშე დატოვება, შეიძლება უკავშირდებოდეს მისგან უკმარ ერთგულების ტკივილს...

ლეილა ცომაია,
2020 წლის 30 სექტემბერი.

კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში საქართველოს საელჩოში დესპანის პოზიციაზე დაინიშნა

საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ჟენევაში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება აქვს და ამ პოზიციაზე გერმანიასთან მისი კავშირების გათვალისწინებით შეირჩა.

27 იანვარს ცნობილი გახდა, რომ გერმანიაში საქართველოს ელჩად თავდაცვის ყოფილი მინისტრი ლევან იზორია წარიგზავნა.

წყარო: http://ghn.ge/news/238784?fbclid=IwAR2Bzot9hxaNvF06I-D0HElWo5L0EXAo3GzEqT4KkpTqTAwl3DjmGsyVJyU

გლდანის ეკლესიაში პუტჩის დღეები განმეორდა

„ვაი თქუენდა... ფარისეველნო, რამეთუ დახშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქუენ შეარახუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესვლად“ (მათე, 23, 13).

საქართველოს ეკლესიის ისტორიამ შემოგვინახა სარწმუნოებისა და ერისთვის თავდადებულთა სახეები, რომელთაც საკუთარი მხრებით, სიცოცხლის ფასად საუკუნეებს გამოატარეს სარწმუნოება და ერის ტრადიციები. მამა ბასილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელიც აგრძელებს ერის საეკლესიო ისტორიას, ამიტომ უპრიანი იქნება, მნიშვნელოვანი სტროფებით მიითვალოს ეკლესიის მემატიანემ მამა ბასილ მკალავიშვილის ღვაწლი ღმრთისა და ერის სამსახურში. მან მართლმადიდებლობისა და სამშობლოს სიყვარულისთვის განვლო განსაცდელებითა და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება. მან ღვთის ჩაგონებით აირჩია ქრისტეს ეკლიანი გზა, იტვირთა მძიმე ჯვარი, მიმყვანებელი გოლგოთამდე სულიერი ჯვარცმისათვის და დღემდე პირნათელი და ვალმოხდილი მრავალრიცხოვანი მრევლით მიაბიჯება ტაძრისაკენ მიმავალ ბილიკზე. იგი არის რამდენიმე ეკლესიის აღმშენებელი, 1995 წელს თავისივე აშენებული ეკლესიიდან სპეცნაზის მიერ გამოდევნილი და ოცი დღით გატაცებული, თითქმის მთელი ცხოვრება დევნილი და 5 წლით ციხეში გამოკეტილი... მამა ბასილი ყოველთვის უშიშრად ამხელდა სჯულის კანონის დამრღვევ სასულიერო პირებს, პატრიარქსაც კი, რომელიც წლების მანძილზე გაერთიანებული იყო „ეკლესიათა მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში“. ამხელდა მათ, ვინც ხელს უწყობდა სხვადასხვა სექტების გამრავლებას საქართველოში, განსაკუთრებით იეღოველთა სექტას.

1990 წლიდან მამა ბასილი მხარს უჭერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს - ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას.

1992 წლიდან კი, გამსახურდიას იდეის მიმდევარნი, რომლებიც გამოდევნილ იქნენ ეკლესიებიდან, ყველასგან მიტოვებულნი მამა ბასილმა შეიფარა ფრთებქვეშ და ასე გადაატანინა სულიერად ის მძიმე წლები თავდადებულ, მართლმადიდებელ ქართველთ.

1995 წელს გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოვლენები სამი თვის განმავლობაში ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა.

26 ივლისს რესპუბლიკის შ/ს სამმართველოს სპეც. დანიშნულების ნაწილებმა „შტურმით“ აიღეს ეკლესია და მისი ტერიტორია. ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი მრევლთან ერთად დააკავეს და წაიყვანეს გლდანის რაიონის მილიციაში. ერთი კვირის განმავლობაში მილიცია აკონტროლებდა ეკლესიის ტერიტორიას, მრევლი კი ეზოს გარეთ ლოცულობდა. ეკლესიის გალავანზე, შესასვლელთან გაკრული იყო შავი დროშა წარწერით - „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“. შაბათს, 5 აგვისტოს, გლდანის ეკლესიაში გამეორდა დეკემბერიანვრის დღეები; დღის 12 საათზე, როდესაც მრევლი ეკლესიის გარეთ ლოცულობდა, შენიშნეს მილიციის თანამშრომლები, რომელთაც მამა არჩილი მოუძღოდა წინ, როგორც იუდა - მღვდელმთავრებს და ფარისევლებს გეთსამანიის ბაღში. მამა არჩილს მოჰყვნენ არქიმანდრიტი იოაკიმე (საპატრიარქოს მომარაგების განყოფილების უფროსი), რომელიც გლდანის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა, მამა ზაქარია (საპატრიარქოს საფინანსო განყოფილების უფროსი), მამა დავით ნოზაძე, 23 წლის მღვდელი და მამა ამბროსი თავისი „მონაზვნით“. მილიციამ გააკეთა „კორიდორი“ და ისე შეუშვეს ერეტიკოსი მღვდლები ეკლესიაში, მაგრამ ანტიქრისტეს მოციქულები, წმინდა გიორგიმ ტაძარში არ შეუშვა. თავიანთივე დაკეტილი კარების გაღებას სამი საათი მოუნდნენ. ბოლოს იხმარეს ყველანაირი იარაღი. როდესაც ურო ურტყამდნენ შესასვლელ კარებს, ერთ-ერთმა მრევლთაგანმა - ნ. ფირცხალაიშვილმა ველარ გაუძლო ტაძრის კარებზე ურო ცემას, აიღო წმიდა გიორგის ხატი, ჩაიკრა გულში და თხოვნით მიმართა მათ, არ დაემტვრიათ წმიდა გიორგის ტაძრის კარები. რა თქმა უნდა მის თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს. ამის შემდეგ იგი გულზე ხატდასვენებული დაწვა ტაძრის შესასვლელ კარებთან. მილიციის უფროსმა ვაჟა ასათიანმა გასცა განკარგულება, მოეცილებინათ ეს ქალი და წაეყვანათ ფსიქიატრიულში, ან აეყვანათ 30-დღიან პატიმრობაში, მაგრამ მას ვერავინ მიეკარა. მერე თვითონ მივარდა, სწვდა თმებში, ხელები გადაუგრეხა, თავში ფეხები ურტყა, გულში ჩაკრული ხატი გამოგლიჯა და უშვერი გინებით ჰაერში მოისროლა, თან მილიციის მანქანისკენ მიათრევდა. ყოველივე ამას საპატრიარქო მშვიდად შესცქეროდა.

გიგა ბოკერია ქვებით ხელში

ასე წვალებით შემტვრეული კარების გავლით შევიდნენ ტაძარში. მილიცია გარედან ყარაულობდა, მამა ბასილის მრევლი ცრემლიანი თვალებით ეზოს გარეთ ლოცულობდა. მრევლმა სცადა მის მიერ აშენებულ ტაძარში შესვლა, მაგრამ ვაჟა ასათიანმა გასცა განკარგულება, ვინც მათ შეეწინააღმდეგებოდა, დაეპატიმრებინათ (იქვე ჰყავდათ ავტობუსები).

აგრეთვე, ტაძრის ეზოს გარეთ იმყოფებოდა გლდანის რაიონის გამგებლის მიერ სახლმმართველობიდან და გამგეობიდან მოყვანილი ხალხი, რომელთა დიდი ნაწილი მამა ბასილის მრევლს შეუერთდა, ნაწილმა კი ღვთის შინით დატოვა ტაძრის ტერიტორია. ამ საშინელი სურათის შემყურე აღელვებულმა, გამწარებულმა მრევლმა და გლდანის მოსახლეობამ ანტიქრისტეს მოციქულებს სატანა უძახა, ხოლო მამა არჩილს (მინდიაშვილი) სრულიად დამსახურებულად ყვარყვარე უწოდეს.

ასეთ პირობებში საპატრიარქოს სამღვდელოებამ ვერ შეძლო წირვის ჩატარება. მათ ისევ პოლიციის დახმარებით დატოვეს ეკლესიის ტერიტორია. ილია II-მ და მისმა მოციქულებმა ჩვენი მოძღვრისა და ჩვენს მიმართ საშინელი ვანდალური აქტი ჩაიდინეს.

დაე უფალმა გასცეს მათ პასუხი, ქართველ ხალხს კი ვთხოვთ, ხმა აიმაღლონ ამ ჯალათების წინააღმდეგ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ადამიანის უფლებათ დაცვის პრესსამსახური.

გლდანის ეკლესიის ბარბაროსული დარბევა

ამავე დღეს საღამოს საათებში გლდანის ეკლესიის ივერიის ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ პოლიციის თანამშრომლები იყრიდნენ თავს, მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ალყაში ვექცეოდით. ისინი ამბობდნენ, რომ ოპერაცია მზადდებოდა მამა ბასილის დასაპატიმრებლად.

მამა ბასილმა ტელეფონით უხმო 150-მდე მრევლს და დავიწყეთ გაძლიერებული ღამის

თევის ლოცვები პარასკევ საღამოს. პოლიციელები თანდათანობით ემატებოდნენ და სიტუაცია ფრიად იძაბებოდა. ეს ამბავი შევატყობინეთ პარლამენტის წევრს ბატონ გურამ შარაძეს, რომელიც დარეკვისთანავე მოვიდა ეკლესიაში, რათა განემუხტა სიტუაცია, მაგრამ პოლიცია ზემოდან ელოდა გადაწყვეტილებას, თუმცა მათ ინტერესებში არ შედიოდა არც ეკლესიის დარბევა და არც მამაოს დაპატიმრება.

2004 წლის 11 მარტს, საღამოს 10 საათზე ეკლესიის ტერიტორიას მოადგა იარაღით დატვირთული რაფის ტიპის მანქანა, საიდანაც უნდა შემოეტანათ ეზოს შიგნით წინასწარ გამზადებული საბრძოლო იარაღები. მათ ჟურნალისტებიც კი არ გაუშვეს, რათა დაეფიქსირებინათ ეკლესიის ეზოდან იარაღის ამოღება. მამა ბასილმა კი მთელი ღამის განმავლობაში ეკლესიის ირგვლივ ჩააყენა მრევლი, რათა ქრისტეს უბოროტეს მტრებს თავიანთი მზაკვრული გეგმა არ განეხორციელებინათ.

ვინაიდან მათი გეგმა ჩავარდა და ვერ მოათავსეს ეკლესიის ეზოში იარაღები, 11 მარტს გამთენიისას განახორციელეს ეკლესიის „შტურმით“ აღება. ოპერაციაში მონაწილეობდნენ სპეცნაზის 3000-მდე კბილებამდე შეიარაღებული ჟანდარმერია (ჟანდარმერია მათ ტანსაცმელებსა და ფარებზე ეწერათ), 2000-მდე სამხედრო დანაყოფი. მათ გადაკეტეს გლდანის ყველა შემოსასვლელი და ასე დაიწყეს საშინელი ოპერაცია.

ეკლესიას რკინის ბადე ჰქონდა შემოკრული, მორწმუნე მრევლი ეკლესიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ხოლო მომხვდური მტერი ღობის გაერეთ. 6 სთ-სა და 30 წუთზე ორი დაჯავშნული, სპეცნაზელებით სავსე მანქანა პირდაპირ ღობეს მოადგა და ღობის შემონგრევა სცადეს, მაგრამ მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილმა მრევლმა მათ წინააღმდეგობა გაუწია. სპეცნაზელებმა ცრემლსადენი შაშხანები გადმოყარეს ეზოში. ეკლესიის ტერიტორია კვამლით აივსო.

დილის 7 საათზე ეკლესიის ღობეს მოადგა რამდენიმე სამხედრო, „ურალის“ ტიპის მანქანა და უკუსვლით სცადეს ღობის შენგრევა. მანქანებს კი სპეცნაზელები და სამხედრო დანაყოფები მოჰყვებოდა. თავდამსხმელთა სიმრავლეს უკვე მრევლმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მათ ღობე შემოანგრიეს და დაიწყეს დარბევა. ჩვენ მამა ბასილი რამდენიმე პიროვნებასთან ერთად ეკლესიაში ჩავკეტეთ და გარედან ვიცავდით ტაძარს. ეკლესიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არგაგონილი ხელჩართული ბრძოლა. მრევლი, შეძლებისდაგვარად ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევდა მომხდურთ, რათა მამა ბასილი არ დაეპატიმრებინათ. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები დათა ახალაია და ვასილ სანოძე, დავით კირკიტაძე და სხვები ხელკეტებით დაუნდობლად სცემდნენ ყველას, განურჩევლად ქალისა, ბავშვებისა, მოხუცებისა. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ სტიქაროსან პეტრე ივანიძეს, გიორგი ანასაშვილს, მერაბ კოროშინაძეს.

მიუხედავად მომხვდურთა სამხედრო აღჭურვილობისა, ისინი ერთი საათის განმავლობაში ეკლესიაში ვერ შედიოდნენ. ტაძრის შიგნით მამა ბასილი გაძლიერებულად ლოცულობდა. რომ ვერაფერს გახდნენ, მოიტანეს შემდუღებელი აპარატი, რათა დაეჭრათ ეკლესიის კარები, მაგრამ ამ გზითაც ვერაფერს გახდნენ. თითქოს ზეციურ ანგელოზებს არ სურდათ მტარვალებს შეეღწიათ ტაძარში, არ უშვებდნენ ანტიქრისტეს მოციქულებს მამა ბასილთან.

ამის შემდეგ კი დაიწყო ყველაზე საშინელება; მოიყვანეს „ურალის“ ტიპის სამხიდიანი სამხედრო მანქანა, უკუსვლით სამჯერ დააჯახეს ეკლესიის გვერდითა კარებს და ამ გზით შეანგრიეს კარები. სპეცნაზელები გამხეცებულნი მივარდნენ მამა ბასილს. მამა ბასილი კი იდგა ამბიონზე მიქაელ მთავარანგელოზის ხატით ხელში და უქადაგებდა ეკლესიაში შევარდნილ სპეცნაზელებს. თავიდან ისინი ვერ ბედავდნენ მამა ბასილის ხელის ხლებას, თითქოს ერიდებოდათ, ანუ ეშინოდათ, მაგრამ სპეცნაზის უფროსმა გოგი თავთუხაშვილმა გასცა ბრძანება, რაღას უსმენთ მაგას, დროზე გამოიყვანეთო და გამხეცებული სპეცნაზელები აიჭრნენ ამბიონზე, მოძღვარს ხელკეტი ჩაარტყეს კისერში და ასე გათიშული, ფეხებით გამოათრიეს ეკლესიიდან. ისინი თავიდან ცდილობდნენ „ურალის“ ტიპის მანქანაზე შეეგდოთ იგი, მაგრამ უკანა „ბორტი“ ვერ გახსნეს. მამა ბასილი რომ გამოყავდათ, სპეცნაზელები ზემოდან ფარებს აფარებდნენ, ტელევიზიას რომ არ დაეფიქსირებინა ასეთი ვანდალური დაპატიმრება. მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენიმე ტელეარხი პირდაპირი ეთერით გადასცემდა მხეცურ დაპატიმრებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მამა ბასილი თრევა-თრევით გაიყვანეს ეკლესიის ეზოს გარეთ და ჩასვეს პოლიციის 20 კაციან რაფის ტიპის მანქანაში და ციხისაკენ გააქანეს. ეკლესიის დარბევით შეშფოთებული მოსახლეობა საგანგაშო ზარების რეკვაზე გამოვიდნენ და ისინიც წინააღმდეგობას უწევდნენ სპეცრაზმელებს.

მამა ბასილთან ერთად დააპატიმრეს 10, მათ შორის შემთხვევით გზად მიმავალი ორი პიროვნება, რომლებმაც სპეცრაზმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს მამა ბასილის დაპატიმრებაში.

მამა ბასილთან ერთად დააპატიმრეს მამა გაბრიელი (ნებიერიძე) და მრევლი: პეტრე ივანიძე, მიხეილ ნიკოლოზიშვილი, ავთანდილ გაბუნია, მერაბ კოროშინაძე, ავთანდილ ჯანაძე, აკაკი მოსაშვილი, მამა-შვილი - ლევანი და გურამი ედიშერაშვილები.

ეკლესიის „შტურმით“ აღებასა და დარბევას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ: გია ბარამიძე, გენ. პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია, შსს ჯარების სარდალი გოგი თათუხაშვილი. ეკლესიის დარბევას მიესალმნენ ზურაბ ჟვანია, ლევან ბერძენიშვილი, გიგა ბოკერია, მისი ცოლი თამარ ჩორგოლეიშვილი, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი...

2005 წლის 11 იანვარს შედგა სასამართლო პროცესი. პროცესზე გამოვიდა პროკურორი მამუკა კერესელიძე, ანტიქრისტეს მოციქული და მოითხოვა:

მამა ბასილის მიმართ - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც დარბაზში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია

პეტრე ივანიძის მიმართ - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მერაბ კოროშინაძის მიმართ - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხოლო, მიხეილ ნიკოლოზიშვილის, ავთანდილ გაბუნიას, ავთანდილ ჯანაძისა და აკაკი მოსაშვილის მიმართ პირობითი სასჯელები.

2005 წლის 12 იანვარს ჟურნალისტთა სახლში ადვოკატებმა ჩაატარეს პრესკონფერენცია და საჯაროდ დაგმეს პროკურორის აბსურდული მოთხოვნა.

2005 წლის 13 იანვარს მოსამართლემ პროცესი გაურკვეველი ვადით გადადო.

2005 17 იანვარს მშვიდობიანი მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია მოაწყო მრევლმა მთავროს კანცელარიასთან.

2005 წლის 31 იანვარს გამოცხადდა განაჩენი.

1.მამა ბასილს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. პეტრე ივანიძეს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. მერაბ კოროშინაძეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

წიგნიდან: მამა ბასილის (მკალავიშვილი) ცხოვრება და მოღვაწეობა „მახვილი მხილებისა„(თბილისი, 2013 წელი).

ხიბულა - პრეზიდენტის მკვლელობის გაბიაბურების მცდელობა, იმპერიის მაამებლობის ჟესტი

2019 წლის 29 მარტს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილი საგანგებო მისიით, მთავრობის წევრებით (ინფრასტრუქტურის მინისტრი, რეგიონალური განვითარების მინისტრი და სხვ.) ჩავიდა სოფელ ძველ ხიბულაში, საიდანაც გვამცნო, რომ ღურწკაიების მიტოვებული და ლობემორღვეული სწორედ ეს სახლი, ამიერიდან გარდაიქმნება მემორიალურ მუზეუმად, რომელსაც ჩაუტარდება რეკონსტრუქცია და მოეწყობა მიმდებარე ტერიტორიაც. სოფლის მოსახლეობის თხოვნით, ივანიშვილი, სახლის მიმდებარედ საბავშვო ბაღის, ეკლესიის აშენებასა და მისასვლელი გზის კეთილმოწყობასაც დათანხმდა. სოფელ ხიბულას წყალმომარაგებისა და გაზიფიცირებისათვის ფონდმა „ქართუმ“, აგრეთვე 10 მილიონი ლარიც გამოყო. ხოლო, შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობაზე კი 6 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ამხელა ქველმოქმედებისა და სოფლისადმი ესოდენი მზუნველობის პასუხად, ობივატელის თვალსაზრისით, თითქოს როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა საპირისპირო აზრის გამოთქმისთვის, მაგრამ ვაი, რომ ამგვარ ქვებუდნურ გარჯილობაში, პრეზიდენტის მოწამეობრივად დევნისა და მკვლელობის გაბიაბურების ვერაგული გეგმა იკვეთება. ნიშანდობლივია, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე დღემდე გამოუძიებელია და საქართველოს პროკურატურის მძიმე თაროზე ხელშეუხებლად დევს. ამგვარი რეალობის ფონზე კი სოფელი ძველი ხიბულა, თურმე, ტურისტულ რუკაზეც გაჩნდება...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რას აუწყებენ გიდები უცხოელ ტურისტებს ღურწკაიების ამ წყეულ სახლთან დაკავშირებით, რომ თითქოს „საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, თავისი უკანასკნელი დღეები, ამ სახლში ტრაგიკულად დაასრულა“, რაშიც სწორხაზოვნად გატარებული იქნება პრეზიდენტის „თვითმკვლელობის“ რუსეთისეული „თვითმკვლელობის“ ვერსია.

უღირს, რუსეთის ოლიგარქ ივანიშვილს უღირს, თუნდაც 20 მილიონი ლარი იმპერიული რუსეთისადმი მამებლურ ჟესტად, რათა გააბიაბუროს და შენიღბოს, რუსეთის იმპერიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების სამხედრო გადატრიალება და პირველი პრეზიდენტის ულმობელი მკვლელობა. ამ ისტორიული დანაშაულის შენიღბვაში პრო-ეროვნულ-ზვიადისტებიც გამოიძებნენ; უშიშროების ქვოტით დაწინაურული ისტორიკოს-ლიტერატორები, ხარისხიანი ლექტორები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „სახელის დაფასებისა და უკვდავყოფად“ წარმოჩენის პირაქაფებული აპოლოგეტები, რომელთა ვალია დამოძღვრვონ და დაარწმუნონ საზოგადოება, სრულიად ქართველი ერი, რომ ხელისუფლების სწორედ ამგვარი კეთილი ნება წარმოადგენს ზრუნვას ზვიად გამსახურდიას სხელისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტული ტელეკომპანია „იმედის“ „მემატიანე“ , 1996 წლის „ღირსების მედალოსანი“ გიორგი კალანდია.

და მშვენდება ხიბულა, ჯილდოდ, გამცემლობისა და ღალატისთვის...

ლეილა ცომაია

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასაარჩევნო „რეიდები“

გომელაურის შინაგან საქმეთა სამინისტრო, საარჩევნოდ, სრულად გამოვიდა სამართლებრივი სივრციდან;

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 17 საათზე, კარზე მრავალჯერადი ბრახუნით მთაწმინდის პოლიციის გამომძიებლები ლამის შემომეჭრნენ ჩემს საცხოვრისში და თვალწინ რაღაც განცხადების ფურცელი ამიფრიალეს. მთაწმინდის რაიონის კრიმინალური პოლიციის გამომძიებლები (მათი თქმით - გიორგი ქურციკიძე და ტარიელ ბეჟიაშვილი), პოლიციის ჯაშუში მეზობლის, მაია ნოზაძის ცრუ დასმენის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დამემუქრნენ.

როცა მათი გადაღება დავაპირე გამომძიებლები მაჯაში მწვდნენ და პროფესიული აპარატის წართმევა დამიპირეს. გამომძიებლები იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში.

პოლიციის ტერორი მეორე დღეს, ანუ 20 სექტემბერსაც გაგრძელდა. მაია ნოზაძეს ამ დღესაც დაურეკავს საპატრულო პოლიციაში ცრუ დასმენით - ვითომ მეზობლური კონფლიქტის გამო. კარზე კაკუნით კვლავ გამომეცხადნენ საპატრულო პოლიციის მუშაკები: კარლო მარღიშვილი და გოგა მედულაშვილი, რომლებსაც 30 წუთიან საუბარში განვუმარტე, რომ ნოზაძესა და ჩემს შორის არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა და გამოვემშვიდობე, რითაც უკმაყოფილო დარჩნენ და ზემდგომებთან სატელეფონო კავშირებით მოითხოვეს ჩემი პოლიციაში წაყოლა. ამ მიზნით ერთი საათი მიკაკუნებდნენ დახურულ კარზე, რაზეც ვპასუხობდი, რომ შეეწყვიტათ ტერორი და მოეცათ ჩემთვის მშვიდი ცხოვრების უფლება. საპატრულო პოლიციის დამატებითი ეკიპაჟები 4 საათის განმავლობაში ჩასაფრებული იყვნენ ჩემს სახლთან, ვინძლო საკუთარი საჭიროებისათვის გავსულიყავი ქუჩაში...

მომხდარი სამართალდარღვევების შესახებ ტელეფონით ვაცნობე გენერალურ ინსპექციას.

ნიშანდობლივია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს / Ministry of Internal Affairs of Georgia გააუქმებული აქვს მონიშვნისა და შეტყობინების ფუნქცია საკუთარ ლინკზე, რომ ინტერნეტ-შეტყობინება გამეგზავნა მომხდარ უფლებამოსილების გადაჭარბების ფაქტზე.

ივანიშვილის „საოცნებო“ ხელისუფლება, არ წყვეტს პოლიციურ ტერორს ჩემს მიმართ, რასაც წლების განმავლობაში ახორციელებს და რაზედაც არაერთი საპროტესტო განცხადება მაქვს დაწერილი.

ტექსტში იხილეთ, 19-20 სექტემბერს, გაურკვეველი მიზეზით ჩემთან მოვლენილი პოლიციის მუშაკების ფოტოები.

გაზეთ „განმათავისუფლებლის„ მთავარი რედაქტორი
ლეილა ცომაია

ჯანმრთელობა

როგორ ვუმკურნალოთ კუჭქვეშა ჯირკვალს

გთავაზობთ რამდენიმე ძალიან ეფექტურ ხალხურ საშუალებას, რომელთა დახმარებით კუჭქვეშა ჯირკვალს სახლის პირობებში, სააფთიაქო პრეპარატების მიღების გარეშე განკურნავთ.

1. ორი ბალახის ნაყენი

1 ს.კ. გამომშრალ უკვდავას და 1 ს.კ. გვირილას დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და დააყოვნეთ 30 წუთით. დაყოვნებული სასმელი გადაწურეთ და გაყავით ორ თანაბარ ულუფად. კუჭქვეშა ჯირკვლის გასაჯანსაღებლად, მიირთვით ეს სასმელი დღეში 2-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქის ოდნოებით, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა – 2 კვირა.

წიწიბურა

წიწიბურას მარცვლებს ძალიან სასარგებლო გავლენა აქვს ჩვენს კუჭქვეშა ჯირკვალზე. აიღეთ ის სასურველი რაოდენობით, მოამზადეთ ფქვილი ყავის საფქვავის ან ბლენდერის გამოყენებით და დაუმატეთ 200 მლ კეფირს. მზა სასმელი დააყოვნეთ მთელი ღამით და მიირთვით ის დილით, საუზმის ნაცვლად.

ოხრახუში რძეზე

800 გრამი ოხრახუში კარგად გარეცხეთ გამდინარე წყალში და შემდეგ დაკეპეთ. ადუღებული რძე დაასხით დაქუცმაცებულ ოხრახუშს და დატოვეთ ნარევი კუჭქვეშა ჯირკვლის განკურნებამდე გაგრილებამდე. ნარევის დღიური ნორმა – ყოველ 1 საათში ერთხელ 2 სუფრის კოვზი. კურსის ხანგრძლივობა – სრულ განკურნებამდე.

მაწვნის კომპრესი

რამდენიმე ფენად გადაკეცილ დოლბანდზე ან მარლაზე წაუსვით ნატურალური მაწონი სქელ ფენად და დაიფინეთ ის კუჭის არეზე (ოდნავ მარცხნივ). ზემოდან გადაიკარით სტრეჩი (საკვების პლიონკა) და შემდეგ შემოიხვიეთ შალის თბილი ქსოვილი. პროცედურა უნდა გაიმეოროთ ყოველ საღამოს 4 კვირის განმავლობაში, კუჭქვეშა ჯირკვლის განკურნებამდე.

მეთოდი, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის ყველა პრობლემისგან 21 დღეში გაგათავისუფლებთ

თუ კუჭქვეშა ჯირკვლის პრობლემებს ზედმეტად სერიოზული და რთული ფორმა აქვს შეძენილი, აუცილებლად ცადეთ ჩვენი დღევანდელი რეცეპტი. მიირთვით ეს ფაფა საღამოს საათებში, ვახშმის ნაცვლად, რათა საოცარი ცვლილებები მალევე იგრძნოთ.

ინგრედიენტები:

200 გრამი ხორბალი

2 ლიტრი წყალი

300 გრამი გოგრა

1 ს.კ. კარაქი

ინსტრუქცია:

ჩაასხით წყალი ქვაბში და მიიყვანეთ დუღილამდე.

კარგად გარეცხილი ხორბალი ჩაყარეთ მდუღარე წყალში.

ხარშეთ ის სრულ მზადყოფნამდე.

გოგრის რბილობი გახეხეთ სქელ სახეხზე და დაუმატეთ ის ფაფას, რომელიც ჯერ კიდევ მზადების პროცესშია. მუდმივი მორევის პირობებში ხარშეთ ის თხელი პიურეს კონსისტენციის მიღებამდე.

მზა ფაფაში დაამატეთ კარაქი და კარგად გადაურიეთ.

დღე განაგრძეთ ჩვეულ რეჟიმში კვება, ხოლო საღამოს საათებში, ვახშმის ნაცვლად, მიირთვით ეს ფაფა. პირობას გაძლევთ, ძალიან მალე საოცარ ცვლილებებს იგრძნობთ!

https://martivad.com/article/5154?fbclid=IwAR1kLrvc61erYOnegW3WwdCdn4na6NAo5isbyq-G-BTMSnZL8rEZGvhPrII

დაფნის ფოთოლი

დააქუცმაცეთ დაფნის 10 ფოთოლი, ჩაყარეთ ის თერმოსში და დაასხით 300 მლ მდუღრე წყალი. დააყოვნეთ ნარევი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში და შემდეგ დაიწყეთ მისი მიღება დღეში 50 მილილიტრის ოდენობით ჭამამდე 30 წუთით ადრე.

კიბოს უჯრედები კვდება 42 საათში! ამ წამალმა 50 ათასი ადამიანი განკურნა!

11 ივლისი · რჩევები · ჯანმრთელობა ·

კიბო ჩვენი დროის ყველაზე საშინელი დაავადებაა, რომელიც მომაკვდინებელია. უამრავი ადამიანი იღუპება ყოველდღიურად მსოფლიოში სიმსივნით.

ამ სტატიაში გთავაზობთ სასარგებლო ნარევის მომზადების რეცეპტს, რომელიც გააჯანსაღებს თქვენს ორგანიზმს და დაიცავს მომაკვდინებელი დაავადებისგან.

მომზადების პროცესი ძალიან მარტივია. საჭიროა ინგრედიენტების დაბლენდერება. ნარევი შემდეგი ინგრედიენტებისგან შედგება:

55% ჭარხალი

20% ნიახური

20% სტაფილო

3% კარტოფილი

2% ბოლოკი

ანუ თუ ამზადებთ 1 კგ – ის რაოდენობის ნარევს, დაგჭირდებათ 550 გრ ჭარხალი, 200 გრ ნიახური, 200 გრ სტაფილო, 30 გრ კარტოფილი და 20 გრ ბოლოკი.

დააბლენდერეთ ინგრედიენტები და მიიღეთ დღეში 2 – ჯერ ერთი სუფრის კოვზი.

https://genius.ge/2766-kibos-ujredebi-kvdeba-42-saatshi-50000-pacienti-ganikurna-am-receptit/?fbclid=IwAR1kc6flDFGpi9nk – 7tKHE9J5iu8lJeZ5gUExWKhLmMfweEHDKegxbZyln4

„არ იქნება ლიტურგია და, მზე დამნელდება, აღარც მიწა გამოიღებს ნაყოფს“ - წმ. იოანე კრონშტადტელი

ჩემო ძვირფასებო! ახლა მე თქვენ გიამბობთ საღმრთო ლიტურგიის შესახებ.

მთელი მსოფლიოს ძვირფასეულობა რომ შეაგროვოთ და სასწორის ერთ მხარეს დააწყოთ, მეორე მხარეს კი ლიტურგია დადოთ, საღმრთო ლიტურგიის მხარე გადაწონის. ოღონდ ადამიანს, სანამ არ წაერთმევა ეს ბედნიერება, არ ესმის, რა განძის მფლობელი იყო. სამწუხაროდ, კაცი არ აფასებს არც მზეს, არც ჰაერს და არც სინათლეს. დადგება ბნელი, წაერთმევა ჰაერი და ვეღარაფრით შეძლებს სუნთქვას. მაშინღა შეიგნებს და მაშინღა დააფასებს ადამიანი იმას, რასაც ფლობდა და რაც დაკარგა. ის, ვისაც საშუალება აქვს დაესწროს საღმრთო ლიტურგიას – წირვაზე არ დადის, ვინც დადის – ისიც უყურადღებოდ დგას, გაფანტული, ყოფითი საფიქრალი მოუტანია ტაძარში. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ კაცი არ უფიქრდება, რა არის ლიტურგია. ადამიანს არ ესმის მის თვალწინ აღსრულებული უდიდესი საიდუმლოს მთელი სიღრმე და სერიოზულობა. მაშინ, როდესაც სასწაულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი სასწაული სწორედ ის არის – საღმრთო ლიტურგია.

საღმრთო ლიტურგიის – ამ საიდუმლოს გამო ანათებს ცაზე დღისით მზე, ღამით კი მთვარე, თავის ნათელს გამოსცემს აურაცხელი ზეციური ვარსკვლავი, მიწასაც ამის გამო გამოაქვს ნაყოფი და პურითაც ამის გამო ვიკვებებით. ვიმეორებ, მიწა მხოლოდ იმისათვის იძლევა ნაყოფს – პურსა და ყურძენს, რომ ყოველდღე, ლიტურგიის აღსრულების ჟამს, წმინდა ტრაპეზზე პური და ღვინო შეიწირება. ჩვენ კი არ გვაძლევს, ჩვენთვის, ცოდვით მოწყლულთათვის კი არ მოაქვს მიწას თავისი ძღვენი (არ ვღირვართ ჩვენ ამად), მიწა ნაყოფს უსისხლო მსხვერპლის შესაწირად გვაძლევს და მოგვცემს მანამ, სანამ დედამიწაზე საღმრთო ლიტურგია აღესრულება.

არ იქნება ლიტურგია და, მზე დაბნელდება, აღარც მიწა გამოიღებს ნაყოფს.

ახლა გიამბობთ, თუ ვინ და როგორ აღასრულა სულ პირველად საღმრთო ლიტურგია: სუფევს ზეცაში მზე სიმართლისა – მარადიული, უქმნელი, თავით თვისით მანათობელი, რომლიდანაც დაუსაბამო შუქი იღვრება. მზე – ეს მამა ღმერთია და ამ ყოვლადნათელი მზისაგან მოდის საღმრთო სხივი – ძე ღმერთი. ეს საღმრთო სხივია, სხივი საკვირველი ნათლისა. მან აღანთო დედამიწაზე საოცარი კანდელი. ზეთით კი არ აღუვსია იგი, არამედ თავისი საღმრთო, უბიწო სისხლით. სწორედ ეს გახლავთ საღმრთო ლიტურგია და სულ პირველად ის უფალმა ჩვენმა – იესო ქრისტემ აღასრულა სიონის ქორში საიდუმლო სერობისას. პირველ ლიტურგიას ასე აგვიწერენ წმინდა მამები:

აიღო პური, არა, პური კი არ აუღია იესო ქრისტეს თავისი ყოვლადუბიწო ხელით, შენ, ცოდვილო სულო, შენ აგიყვანა მაცხოვარმა თავის წმინდა ხელში, აღაპყრო თვალნი ზეცად, უჩვენა მამას ჩვენი ცოდვილი სული და თქვა: ჩემი სისხლით და ჯვარზე ვნებით გამოვისყიდი მას, მის ცოდვებსაც მე ვიტვირთავ. შემდეგ იესო ქრისტემ წარმოთქვა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი...“. – აკურთხა პური და თითქოს თავისი ჯვარზე სიკვდილის მოლოდინში გამოსახა მასზე ნიშანი ჯვარის სახისა. მერე აიღო ღვინიანი თასი, აკურთხა, აღიხილნა თვალნი ზეცად და თავის მოწაფეებს რომ უწვდიდა, თქვა: „სუთ ამისგანი, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა...“. „...ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა“. ასე დაწესდა საიდუმლო სერობაზე პირველი ლიტურგია იესო ქრისტესი. ახლაც შეიწირება ტრაპეზზე პური და ღვინო, ხოლო საღმრთო ლიტურგიაზე იგი ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქცევა. ადამიანებიც ქრისტეს სისხლისა და ხორცის ხმევით საღმრთო ბუნებას ვეზიარებით, რათა შემოვიდეს „სახლსა სულისა ჩვენისასა“ უფალი, და სულიც ღვთის ტაძრად იქცეს.

რამხელა ბედნიერებაა! უფალი შედის ცოდვილის სულში, ფერფლად აქცევს მასში ყოველგვარ უსჯულოებას, და ადამიანის სულსაც ღვთის სახლად გარდაქმნის.

ასე რომ, მაცხოვარმა თითქოსდა ანდერძად დაგვიტოვა ლიტურგიის აღსრულება და მისი ცხოვრებისმომცემელი სისხლისა და ხორცის ხმევა.

ლიტურგია – ეს საკვირველი ნიჭია იესო ქრისტესი, ლიტურგია – ეს ხიდია, მარადიული ცხოვრებისაკენ გადებული. გახსოვდეთ! ეს ანდერძია იესო ქრისტესი! შეუდექით ამ ოქროს ხიდს, რომელიც ჯოჯოხეთის ქვესკნელისაგან გიხსნით. ყურს ნუ უგდებთ, საყვარელნო, მათ, ვინც მაცხოვრის ბარძიმს გაურბის. ეს უბედურები გზააბნეული, საცოდავი ადამიანები არიან, რომლებიც, ქრისტეს მდინარისაგან შორს მყოფნი, ქვესკნელში ცვივიან. ო, რა შესაბრალისი, რა უბადრუკია ადამიანი, რომელსაც საღმრთო ლიტურგია ამა სოფლის ზმანებებზე გაუცვლია, რომელსაც ყოფითი საზრუნავი ტაძარში არ უშვებს. მეგობრებო, გიყვარდეთ ღვთის ტაძარი! ეს ის ადგილია, სადაც მარადჟამ სუფევს უფალი. ეშურებოდეთ ეკლესიისკენ, განსაკუთრებით კი დღესასწაულებზე. იქ ნათელია, ყოველი კაცის განმანათლებელი, მისთვის ძალის მიმცემი. იქ წმინდა ძღვენია ქრისტეს სისხლისა და ხორცისა, ჩვენი განმაძლიერებელი და სულთა განმწმენდელი. ამავე დროს, ლიტურგიას ჩვენში კიდევ სერობას ეძახიან. ეს სერობა და ლხინია, რომელზედაც თავისი მსახურების პირით გვიხმობს უფალი. მსახურები მწყემსები არიან. მაგრამ რამდენია ჩვენს შორის ისეთი, მეუფის ძახილს რომ არ ეხმიანება, ვისაც არ სურს ისმინოს ხმა ქრისტესი და წმინდა სახარებისა. იმასაც არ სჯერდებიან, რომ თავად არ მოდიან ეკლესიაში, სხვებსაც ხელს უშლიან, დასცინიან. ო, რა უბედურია, რა დაწყევლილია ის, ვინც საკუთარ თავს აკლებს ამ ძვირფას ნიჭს, გზააბნეული ფეხით თელავს იგი კეთილსურნელოვან ვარდს – ქრისტეს საღმრთო ლიტურგიას.

ჩემო ძვირფასებო! გიყვარდეთ საღმრთო ლიტურგია, დაკარგულად თვლიდეთ თქვენი ცხოვრების იმ დღეებს, როცა ლიტურგიაზე დასწრება ვერ შეძელით, ეს განსაკუთრებით დღესასწაულებს ეხება. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ საღმრთო ლიტურგია ღვთისაგან ბოძებული უდიდესი და საკვირველი ნიჭია. ღვთის ანგელოზებიც კი შემოგვნატრიან ჩვენ, ადამიანებს, რომელთაც მოგვენიჭა ბედნიერება საღმრთო სისხლისა და ხორცის გემოს ხილვისა. მილიარდობით მიილტვიან და გროვდებიან იქ, სადაც საღმრთო მსხვერპლი შეიწირება, ძრწოლით დგანან წმინდა ტრაპეზის წინაშე, სახეს იფარავენ და ადიდებენ იმ უდიდეს საიდუმლოს, რომელიც მათ თვალწინ აღესრულება.

საღმრთო ლიტურგია სამყაროს ღერძია: როგორც ბორბალი ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, ჩვენს სამყაროსაც ასე ამოძრავებს საღმრთო ლიტურგია. ის არის საფუძველი მთელი ცხოველი სამყაროსი. და ეს რომ ასე არ იყოს, რომ არ იღებდეს განწმენდას ამ უდიდესი საიდუმლოთი, ღვთაებრივი გამომსყიდველის ამ საშინელი ქმედებით, ჩვენი საზარელი, ცოდვილი სამყარო, სიბილწესა და უსჯულოებაში დაინთქმებოდა. უსისხლო მსხვერპლშეწირვის საიდუმლოს აღსრულების ჟამს იკურთხება ტრაპეზი და ტაძარი, მათთან ერთად იკურთხება ყოველი იქა მლოცველიც. მიწა და თავად ჰაერიც მხოლოდ იმიტომ გვაძლევს ყოველივე აუცილებელს სიცოცხლისათვის, რომ ტრაპეზზე ბარძიმსა და ფეშხუმში პურისა და ღვინის სახით ასვენია წმინდა ტარიგი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ჩემო ძვირფასებო, მადლობა შესწირეთ უფალს იმისთვის, რომ ღირსგვყოფს ვისმინოთ საღმრთო ლიტურგია და ვიხმიოთ მაცხოვრის ყოვლადწმინდა ხორცი და ცხოვრებისმომცემელი სისხლი. გევედრებით შენ, უფალო, შეცთომილთათვის, მათთვის, ვისაც არ სურს და ვინც არ ეძებს შვებას მაცხოვნებელ წმინდა საიდუმლოებში. შენ მიეც მათ გულისხმიერება, უფალო, და სინანულად მოიყვანე ისინი, რათა იცნან ძალა მაცხოვარებისა შენისა.

წმ. იოანე კრონშტადტელი, „საუბარი წმიდა ლიტურგიის შესახებ“

თარგმნა ნანა წერეთელმა
(მონაზონი ნინო † 2005)
წყარო: martlmadidebloba.ge

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*